

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXXVI

2025 წლის 24-26 ივნისი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2025

2025 წლის 24-26 ივნისს გაიმართება სამეცნიერო სესია „**არნოლდ ჩიქობავას საკითხავები**“. სხდომები ჩატარდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 202-ე აუდიტორიაში.

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ვ. შენგელია**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2025

ISBN

მ უ შ ა ო ზ ი ს გ ე გ მ ა

24 ივნისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. მაჭავარიანი, თ. ვაშაკიძე**

- ს. ო მ ი ა ძ ე – წარდგენა წიგნისა „ქართული მეცნიერების მოამაგენი: თინათინ შარაძენიძე“
- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, ნახური ეთნონიმები და მათი ტრანსლიტერაცია ქართულში
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ვინ ნაცვალსახელის სინტაგმატიკის ზოგი თავისებურებისათვის
- თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, რუსიფიკაციის ფარული ხერხები აფხაზეთში ასი წლის წინ
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ორპირიანი საშუალმოქმედებითი გვარის ზმნათა III სერიის ფორმათა მართლწერა
- ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, „რთული“ / „მარტივი“ ზედსართავ სახელთა ურთიერთმიმართებისა და ეტიმოლოგიისათვის
- რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, გულ-ი სიტყვის შემცველი კომპოზიტები ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტსა და ქართულში
- მ. ლ ლ ო ნ ტ ი, ძვ. ქართ. ს ი ტ ყ უ ი ს რაობისა და რაგვარობის სულხან-საბასეული განმარტებისთვის

მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, სამყარო – კონტრასტი და ოპოზიციური წყვი-
ლი წითელი და იისფერი შოთა ნიშნიანძის ამავე სა-
ხელწოდების პოემაში

ნ. ქ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, ხმაბაძვითი სიტყვები რევაზ ინანიშვილი
მოთხრობებში

ც. ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა, ართმაჟია

25 ივნისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **გ. გოგოლაშვილი, რ. ლოლუა**

ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ერთი გაურკვეველი ადგილის გეოგრაფი-
ული სახელწოდების განმარტებისთვის

მ. ბ უ კ ი ა, სამეგრელოს ტოპონიმის პრობლემები – ისტო-
რია და თანამედროვეობა

გ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, ლექსიკონის აგებისა და სიტყვათესხების
წესები 1935 წლის რუსულ-აფხაზურ ტერმინოლოგი-
ურ ლექსიკონში

ქ. დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი, სახელწმნური კომპოზიციები თანა-
მედროვე ქართულში

რ. ლ ო ლ უ ა, უდიურის კავკასიის ალბანურისაგან წარმომავ-
ლობის შესახებ

- ს. ო მ ი ა ძ ე, დისიძე – ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინი ძველ ქართულში
- მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, კვლავ სამოსელთან (*ფეხსამოსი, თავსაბურავი...*) დაკავშირებული ტერმინოლოგიის შესწავლა-სისტემატიზაციისათვის სვანურში
- ლ. ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე, ი-ზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელთა მართლწერა
- ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, მეგრული გვალო სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ბრძნობა სიტყვასთან დაკავშირებულ ლექსემათა სემანტიკისათვის

26 ივნისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **ლ. ქაროსანიძე, ვ. შენგელია**

- ა. ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ფორმანტთა პოლიფუნქციურობისათვის უდიურ ენაში
- ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, რ. ჭ კ ა დ უ ა, მემატიანე ტოპონიმთა ფუნქციის მიკროტოპონიმები სვანურ ტოპონიმიაში
- თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი დანართი „და“ კავშირით შეერთებულ საზღვრულებთან

- მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, ორზემეტკომპონენტიან რთულ სიტყვათა მართლწერისათვის
- თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, ზოგი თანდებულშემცველი კომპოზიტის მართლწერა
- ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, „სვანეთში მუშაობის შესახებ“ – აკაკი შანიძის საექსპედიციო ჩანაწერები (XX საუკუნის 20-იანი წლების საარქივო მასალების მიხედვით)
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ერთი რთული ადგილის ზმნისართის შესახებ ქართველურ და ჩერქეზულ ენებში
- მ. ხ ო ბ ე ლ ი ა, აფხაზური სამწიგნობრო ენის ისტორიიდან. დიმიტრი გულიას „ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია“
- ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, მცენარეთა სახელები ძველი ქართული ენის ლექსიკონებში და მათი დაზუსტების აუცილებლობა (*მელაღრია/მელაგრია*)

ნახური ეთნონიმები და მათი ტრანსლიტერაცია ქართულში

ქართული ტრანსლიტერაციისა და მართლწერის თვალსაზრისით, ნახური ეთნონიმები არსაკმარისად არის შესწავლილი. ამითაც უნდა იყოს გამოწვეული ის ფონეტიკური ნაირგვარობა და ფორმათა სიჭრელე, რაც მქდავანდება შესაბამისი ეთნიკური სახელების უმართებულო ქართული დაწერილობით როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ და პოპულარულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მთის სხვა კავკასიელთა ანალოგიურად, ნახური მოდგმის ხალხების აღსანიშნავად უპირატესად სამი სახის ეთნონიმები გამოიყენება: 1) ეგზოეთნონიმები, 2) ენდოეთნონიმები, 3) ტოპონიმური ეთნონიმები.

1) ეგზოეთნონიმური სახელებიდან ერთობლივად ნახი ხალხის აღსანიშნავად ქართულში ფართოდ გამოიყენება ალოეთნონიმი **ქისტ**-ი (მრ. **ქისტ**-ებ-ი, **ქისტ**-ეთ-ი „ქისტების ქვეყანა“), რომელიც კარგად არის ცნობილი „ქართლის ცხოვრებიდან“, ქართული ისტორიოგრაფიიდან და მწერლობიდან. ჩეჩენ-ინგუშებში ეს ტერმინი არ დასტურდება, მართოდენ პანკისში ჩამოსახლებულ ჩეჩენთა მეტყველებაში მოიკიდა ფეხი: **ქისტაე** „ქისტი“ (მრ. **ქისტია**). გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი უნდა უკავშირდებოდეს **ქრისტ**-ს (**ქრისტე**) და ვაინახების გაქრისტიანებასთან უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული (ალ. ჭინჭარაული). არსებობს მეორე ეტიმოლოგიაც, რომლის მიხედვით **ქია** ერთ-ერთი თემის სახელიდან წარმოსდგება: **ქისტ** < ***ქია**-სთ (შდრ. **მელხი+სთა**) (ი. ალიროვეი).

ყველაზე მრავალრიცხოვანი ნახი ხალხის სახელად ქართულში გამოიყენება ალოეთნონიმი **ჩეჩენ**-ი//**ჩაჩან**-ი, რომელთაგან ამჟამად რუსული ენის გავლენით პირველი ფორმა უფრო მეტად იკავებს გზას, თუმცა ისტორიულად მეორე ნაირსახეობა ფართოდ იყო გავრცელებული (XIII ს.), მაგ.: ქართ. **ჩაჩანი**, ხუნძ. **ჩაჩან**, დიდ. **ჩაჩა-**

ნი¹, ოს. **ცაცან**, თურქ. **ჩაჩან** (<***ჩეჩან**, შდრ. **ჩეჩანა** „აულის სახელი“), არაბ. **შიშან** და მისთ.

ჩვენი აზრით, თუ საანალიზო ეთნონიმი მართლაც უკავშირდება ზემომოყვანილი აულის სახელს – **ჩეჩანას** (შდრ. წ.-თ. **ჩეჩნოვ** < ***ჩეჩანოვ** „ჩეჩენი“), მაშინ ამ საცილობელი ფორმებიდან ორივე დასაშვები იქნება და მიეკუთვნება ტოპონიმურ ეთნონიმთა რიცხვს.

ისტორიულად ჩეჩნების აღსანიშნავად ქართველების მიერ ჯერ კიდევ 2000 წლის წინანდელი ეთნიკური სახელი **დურბუკი** ადრეულ შუა საუკუნეებამდე შემორჩა, რომელსაც შემდეგ **ქისტი** შეენაცვლა.

დასტურდება ეგზოეთნონიმი **ინგუში**, რომელი XVIII ს.-ში იჩენს თავს და მას ინგუშური აულის სახელს (**ანგუშტ/ინგუშტ**) უკავშირებენ. იგი შერქმეული და შემდეგ რუსულში გავრცელებული ჩანს ყაბარდოელთა მიერ, რომელთა ნაწილიც ამ პერიოდისთვის ვაინახებსა და ოსებს შორის მოსახლეობდნენ.

ნახურ ენათაგან ქართულში გადმოტანისას მართებულ ეგზოეთნონიმურ ფორმებად მიიჩნევა: **ქისტი**-ი (მრ. **ქისტი-ები**-ი), **ჩეჩენი**-ი//**ჩაჩან**-ი (მრ. **ჩეჩენ-ებ**-ი//**ჩაჩან-ებ**-ი), **დურბუკ**-ი (მრ. **დურბუკ-ები**-ი), **ინგუშ**-ი (მრ. **ინგუშ-ები**-ი).

2) ენდოეთნონიმურ სახელთა რიცხვს მიეკუთვნება ნახური მოდგმის ხალხების აღსანიშნავად გამოყენებული **ნოხჩჷრ** (მრ. **ნოხჩიჲ**), რომელიც ჯერ კიდევ **ნახჩამათეანქ** (= **ნახჩა**- „ნახი“ + **მათ**- „ენა“ + **-ანქ** „-ებ“-“) ფორმით მ. ხორენაცის „სომხეთის გეოგრაფიაში“ იხსენიება (VII ს.), თუმცა მისი ეტიმოლოგია უცნობია. სავარაუდოა, იგი კომპოზიტური აგებულებისა იყოს (**ნახჩა** < ***ნახჩან**) ისევე, როგორც ზემონახსენები ეგზოეთნონიმი (**ჩაჩან** < ***ჩანჩან**). ამასთან, ხელოვნური ტერმინი Нахские языки ზ. მალსაგოვის გავლენით გავრცელდა, არადა მიზანშეწონილი იქნებოდა ეთნონიმის **ქისტური** მნიშვნელობა არ დავიწროვებულიყო და ქართულ სინამდვილეში მაინც გვქონოდა ნახური ენების გამომხატველი ზოგადი ტერმინი. სპეციალურ ლიტერატურაში ეს ხელოვნური ტერმინი (ნახური) სამართლიანად არის უგულებელყოფილი (ა. ხალიდოვი).

¹ შეიძლება ქართული ნასესხობა იყოს.

ინგუშთა უბველესი ავტოეთნონიმის (**ღალღაი**) შესახებ სხვა-დასხვაგვარი ეტიმოლოგებია წარმოდგენილი: ა) უკავშირდება ერთ-ერთ ინგუშ მეციხოვნეთა გვარს (ი. დეშერიევი), წარმოქმნილია სახელიდან **ღალა** „ციხე“ (რ. დოლაქოვა, მ. ჩუხუა...), პარალელს პოულობს სახელთან **ღალღ** „ფარი“ (ა. სულეიმანოვი), უკავშირდება მზისა და ცის ღვთაება **„ღალ“-ს** -**ღა** სუფიქსის (-**ხა** სუფიქსის ვარიანტი) დართვით (კ. ჩოქაევი).

წოვა-თუშების (resp. წოვების) ენდოეთნონიმს წარმოადგენს **ზაცავ** „ზაცბი“ (მრ. **ზაცზა**). ზაცბების სახელით ცნობილი ტომი წარმოდგენილია სხვა სახელითაც **წოვა/წუა**, რომელიც ეტიმოლოგიურად თეონიმური წარმომავლობისად მიიჩნევა: ინგ. **წუგ**, ჩეჩნ. **წუ** „ქურუმი“, „ღვთაება“ (კ. ჭრელაშვილი).

ენდოეთნონიმების მართლწერა ასე გვესახება: **ნაზ**-ი (მრ. **ნაზ-ებ**-ი), **ღლიღვ**-ი (მრ. **ღლიღვ-ებ**-ი), **ზაცბ**-ი (მრ. **ზაცბ-ებ**-ი), **წოვა** (მრ. **წოვ-ებ**-ი) და ა. შ.

3) რაც შეეხება ტოპონიმურ ეთნონიმებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რომელიმე მხრის ჩეჩნებს ან ინგუშებს (ლილლო – ლილღვ-ელ-ი, მაისტი – მაისტ-ელ-ი...), მაშინ გვრჩება ერთი ეთნონიმი, რომელიც წყარო-ენიდან შემდეგნაირად გადმოიტანება და დაიწერება: იჩქერია „ჩეჩნეთი“, იჩქერი-ელ-ი ხალხი (მ. ჩუხუა).

ცხადია, ეთნონიმთა გადმოქართულებისას მეტწილად თითო-ეული ეთნიკური სახელის მართლწერას ექცევა მეტი ყურადღება, თუმცა ტერმინის ისტორია და გამოყენების ტრადიციაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ერთი გაურკვეველი ადგილის გეოგრაფიული სახელწოდების განმარტებისთვის

მიკროტოპონიმი **ბოდიში**. ხულოს მუნიციპალიტეტში ფიქსირდება.

ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფონდებში ვხვდებით ერთ ასეთ ჩანაწერს: „სოფელი ღორჯომი, ხულოს მუნიციპალიტეტი, ადამეების უბანი – ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებები: ნაკაფი, სამარილე, ხრეწილი, კუნჭული, ღომელათი, სასრი ყელი, საყულაფერდი, **ბოდიში**“.

1979 წელს ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ სამეცნიერო-საველე ექსპედიციისას, სოფ ადამეებში, ღორჯომის ს/ს დაფიქსირდა მიკროტოპონიმი: **ბოდიში** -ყანები იქვე, **მთა სათოვლიწყალი (ბოდიშს)** იქითაა (ბსკვა, საქმე № 102, 1979 : გვ.56). ფონდში ინახება აგრეთვე 1980 წელს ისევ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის თემში ჩაწერილი მთის სამოვრების ჩამონათვალი: ონაგირა ყელი, დაბელტებული წყარო, სახბოვრა, ზორტი ყელი, კენჭისაყრის იაილა (ბახმაროს მისადგომებთან ახლოს) და კვლავ ფიქსირდება: ბოდიში (ს) ყელი, ამჯერად, უკვე, როგორც ყელი – უღელტეხილი // გადასასვლელი; ბოდიში ყელი – ფიქსირდება სოფელ ადამეებში.

1981 წელს განხორციელებული ექსპედიციისას, ამჯერად, დადასტურდა: „ბოდიშის მთა“. **ბოდიშის მთა** – ჭალაი ადგილია, სოფლების ჭვანისა და ღორჯომის საზღვარზე. ინფორმატორების ცნობით, ეს ადგილი ვერ გაიყვეს ჭვანისა და ღორჯომის (ამ სოფლების - ნ.ა.) მცხოვრებლებმა და ბოლოს ჭვანელებს ღორჯომლებისთვის მოუხდიათ ბოდიში. შესაბამისად, მთაც ღორჯომლებს დარჩენიათ. ბოდიშის მთა – ბახმაროშიც არის, ადგილი, რაიმე განსაკუთრებლობით არ გამოირჩევა (ბსკვა, საქმე № 10, ანაწერი № 13; 1981; გვ. 13).

ტოპონიმის სახელდების მოტივაციაზე ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, თუ რატომ შეიძლებოდა დარქმეოდა ყანას, ან ჭალას, ან მთას, ასეთი სახელი და მივედით დასკვნამდე : ალბათ, ადგილს, რომელსაც საშენოდ, სათავისოდ, საბოდიშოდ, მოსაფრთხილებად მიიჩნევდა ძალიან ძვირფასია შენთვის – ასეთ ლექსიკურ ქარგაში გაახვევდა შეინახავ.

ა მ ი რ ა ნ ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი

ფორმანტა პოლიფუნქციურობისათვის უდიურ ენაში

უდიური ენისთვის დამახასიათებელია ერთი მაწარმოებელი ფორმანტის (აფიქსის) პოლიფუნქციურობა.

1. -**უნ** სუფიქსი:

ა) ის არის ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ნიშანი: კოკოწუნ „ქათმისა“ (კოკოწ „ქათამი“), ფიშიკ-უნ „კატისა“ (ფიშიკ „კატა“)...

ბ) ნიჯურ კილოში -**უნ** სუფიქსი მონაწილეობს -ახ-უნ ფორმანტის შემადგენლობაში, რომელიც საზიარო მაწარმოებელია აბლატივისა (დაშორებითი) და კომიტატივის (თანაობითი) ლოკატიური ბრუნვებისთვის: ზ-ახ-უნ „ჩემგან“, „ჩემით“, „ჩემთან ერთად“ (ზუ „მე“)... თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ორივე ბრუნვა მიცემითს ეყრდნობა (ნიშანი -ახ), გამოდის, რომ გრამატიკული მნიშვნელობის ცვლას სწორედ -უნ სუფიქსის დამატება იწვევს.

გ) აწარმოებს სადაურობის (წარმომავლობის) სახელებს: აფზ-უნ „სოფელი“ (აფზ „სოფელი“), ლე-უნ „დღევანდელი“ (ლე „დღეს“)... ვლ. ფანჩვიძის მართებული მოსაზრებით, ამგვარად წარმოებული სახელები ნაგენეტივარი ზედსართავებია, რომლებიც გამოხატავენ კუთვნილებას (ფანჩვიძე 1974: 127);

დ) ზმნურ ძირთაგან აწარმოებს სუბსტანტივებს: ბიტ-უნ „ნათესი“ (ბიტესუნ „თესვა“), კაჰკ-უნ „კევი“ (კაჰფესუნ „ღეჰვა“)...

ე) რაოდენობით რიცხვით სახელებზე -უნ (→ -უმ) ფორმანტის დართვით იწარმოება რიცხობითი რიცხვითი სახელები: სა-უმ (← სა-უნ) „პირველი“ (სა „ერთი“), პუ-უნ „მეორე“ (პუ „ორი“). ის ასევე მონაწილეობს რთული -უნჯი სუფიქსის შემადგენლობაში, რომელიც ანალოგიური ფუნქციითა აღჭურვილი: ბიპ-უნ-ჯი „მეოთხე“ (ბიპ „ოთხი“), ვიწ-უნ-ჯი „მეათე“ (ვიწ „ათი“)...;

ვ) გამოიყენება მასდარის წარმოებაში: ბეს-უნ „კეთება“, ფეს-უნ „თქმა“...;

ზ) აწმყო-მყოფადის მიმღეობის ფორმაზე რთული -ხ-უნ სუფიქსის დართვით იწარმოება აბსოლუტივ-გერუნდიუმი: უქა-ხ-უნ „ჭამისას“ (უქეს „ჭამა“), ელა-ხ-უნ „მოსვლის დროს“ (ელეს „მოსვლა“)...;

თ) ზმნისართთა წარმოებაშიც გვხვდება: ბმას-უნ „საღამოს“ (ბმას „საღამო“), ბლჷზჷრ-უნ „შუადღეს“ (ბლჷზჷრ „შუადღე“)...

2. -იჷ სუფიქსი:

ა) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია ზოგ ერთმარცვლიან სახელებთან, ასევე თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ა, პ, ჯ ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებთან: ფ-ინ „თვალის“ (ფულ „თვალი“), თურ-ინ „ფეხის“ (თურ „ფეხი“), ფაშნ-ინ „გოგრის“ (ფაშნა „გოგრა“), თაქ-ინ „ჯიხვის“ (თაქჷ „ჯიხვი“)...;

ბ) გვხვდება ერგატივის (ინსტრუმენტალისის) ნიშნადაც: ბ-ინ „თავმა“ (ბულ „თვალი“), ქ-ინ „ხელით“ (ქულ „ხელი“)...;

გ) წარმოქმნის სადაურობის/წარმომავლობის სახელებს (კუთვნილების ნიუანსით): კოჯ-ინ „შინაური“ (კოჯ „სახლი“), უდი-ნ (← უდი-ინ) „უდიური“... ამ შემთხვევაშიც ნაგენეტივარ სახელებთან გვაქვს საქმე;

დ) შემადგენლობაშია რთული ალ-ინ // ბ-ალ-ინ სუფიქსისა, რომელიც კრებით რიცხვით სახელებს აწარმოებს: პე-ლ-ინ (← პე-ალ-ინ) „ორივე“, „ორივე ერთად“ (პე „ორი“), ვუჷ-ბ-ალ-ინ „ცხრავე“, „ცხრავე ერთად“ (ვუჷ „ცხრა“)...;

ე) აბსოლუტივ-გერუნდიუმის მაწარმოებელი რთული -მ-ინ ფორმანტის მეორე კომპონენტია: უქა-მ-ინ „ჭამამდე“ (უქეს „ჭამა“), თალა-მ-ინ „წასვლამდე“ (თალეს „წასვლა“)...;

3. -ო // → -ა სუფიქსი:

ა) ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ნიშანია: ღარ-ი „ვაჟისა“, „ბიჭისა“ (ღარ „ვაჟი“, „ბიჭი“), ხინჷრ-ი „გოგოსი“, „ქალიშვილისა“ (ხინჷრ „გოგო“, „ქალიშვილი“)...;

ბ) ზოგიერთი წარმომავლობის სახელის მაწარმოებლადაც გვხვდება: ალა-ი „ბატონური“, „მედიდური“ (ალა „ბატონი“, „პატრონი“), ჭი-ნ-ო-ფ „ნაღვინევი“, „ნასვამი“, „მთვრალი“ (ჭი „ღვინო“)...

4. -ენ სუფიქსი:

ა) ერგატივ-ინსტრუმენტალისის ბრუნვის ნიშანია: ადამარ-ენ „ადამიანმა“, (ადამარ „ადამიანი“), თავარ-ენ „ცულით“ (თავარ „ცული“)...

ბ) ქონების სახელების ერთ-ერთი მაწარმოებელია: ჭემ-ენ „ჭუ-ჭყიანი“ (ჭემ „ჭუჭყი“), ტამ-ენ „გემრიელი“ (ტამ „გემო“)...

გ) რთული -ალ-ენ // -ბ-ალ-ენ სუფიქსის შემადგენლობაში მონაწილეობს, რომელიც კრებით რიცხვით სახელებს აწარმოებს: ხიბ-ალ-ენ „სამივე“, „სამივე ერთად“ (ხიბ „სამი“), ვიწ-ბ-ალ-ენ „ათივე“, „ათივე ერთად“ (ვიწ „ათი“)...

5. -ახ სუფიქსი:

ა) მიცემითი ბრუნვის ერთ-ერთი ნიშანია: ჭაპლულ-ახ „ვენახს“ (ჭაპლულ „ვენახი“), ბუქუნ-ახ „მუცელს“ (ბუქუნ „მუცელი“)...

ბ) გამოიყენება ქონების სახელთა წარმოებაში: აპ-ახ//აპ-ინ-ახ „ოფლიანი“, ჭან-ახ „ცხიმიანი“ (ჭან „ცხიმი“, „ქონი“)...

6. -იხ სუფიქსი:

ა) მიცემითი ბრუნვის ნიშანია ერთ ან ორმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელებთან: ფაქ-იხ „ბაღს“ (ფაქ „ბაღი“), ჭალაგ-იხ „ტყეს“ (ჭალაგ „ტყე“)...

ბ) გვხვდება ქონების სახელთა წარმოებაშიც: თოგ-იხ „ძვირი“ (თოგ „ფასი“)...

7. -ახ-ო სუფიქსი:

ა) აბლატივ-ინსტრუმენტალისის (დაშორებითი ბრუნვის) ნიშანია: ბინიკ-ახ-ო „თოჯინისგან“ (ბინიკ „თოჯინა“), გურატ-ახ-ო „პერანგისგან“ (გურატ „პერანგი“)...

ბ) თავს იჩენს ქონების სახელის მაწარმოებლად ერთადერთ სიტყვაში: ელ-ახ-ო „მარილიანი“, (ელ „მარილი“);

გ) აქტიურად გამოიყენება ზმნისართთა წარმოებაში: იშ-ახ-ო „ახლოდან“ (იშა „ახლო“), მალ-ახ-ო „აქედან“ (მალა „აქეთ“)...

8. უჭ- სუფიქსი:

ა) ალატივის (მიმართულებითი ბრუნვის) ნიშანია: ჭაპ-ნ-უჭ „ვაზისკენ“ (ჭაპ „ვაზი“), გა-ნ-უჭ „ადგილისკენ“ (გა „ადგილი“)...

ბ) ერთადერთი ნიმუშით დასტურდება ქონების სახელის მაწარმოებელ სუფიქსად: ელ-უჟ „მარილიანი“ (ელ „მარილი“).

9. -**ლუდ**//**-ლუხ** სუფიქსი:

ა) აწარმოებს აბსტრაქტულ (განყენებულ) სახელებს: შელ-ლულდ//შელ-ლუხ „სიკეთე“ (შელ „კარგი“), ადელ-ლულ „ბავშვობა“ (ადელ „ბავშვი“)...;

ბ) წარმოქმნის დანიშნულების სახელებს: ხალიკ-ლულ „ბიძის ძღვენი, საჩუქარი (მიტანილი დისწულის ქორწილში)“ (ხალიკ „ბიძა“), კოჯ-ლულ (ვართ.) / კოჟ-ლულ (ნიჯ.) 1. „სამშენებლო მასალა“; 2. „სურსათის მარაგი სახლისთვის“ (კოჯ/კოჟ „სახლი“)...;

გ) გამოხატავს კრებითობას, ჯგუფურობას, ერთად თავმოყრას: ხოდ-ლულ „ტყე“ (ხოდ „ხე“), ფოს-ლულ „ნაგავსაყრელი“ (ფოს „ნაგავი“)... განსაკუთრებით პროდუქტიულია მცენარეთა სახელებთან: ღოდ-ლულ „ალუჩის ბაღი“ (ღოდ „ალუჩა“), ერეყ-ლულ „თხილნარი“ (ერეყ „თხილი“), ვარდ-ლულ „ვარდნარი“ (ვარდ „ვარდი“)...;

დ) გამოხატავს ვისიმე ან რისამე შენაცვლებას, მაგივრობას: ბაბა-ლულ „მამინაცვალი“ (ბაბა „მამა“), ნანა-ლულ „დედინაცვალი“ (ნანა „დედა“)...;

ე) რიცხვით სახელებზე დართვისას -ლულ სუფიქსი აწარმოებს ქონების სახელებსაც (რიცხვითი სახელებით გამოხატული ადამიანების ან საგნების ერთობას [ერთიანობას]): სა-ლულ „ერთეული“, პუ-ლულ „ორეული“, „ორიანი“, ბიპ-ლულ „ოთხიანი“...;

ვ) აწარმოებს ზმნისართებსაც: ღე-ლულ „დღეისათვის“ (ღე „დღეს“, ღი „დღე“), ჰმშიშ-ლულ „სამუდამოდ“, „სამარადისოდ“ (ჰმშიშ „ყოველთვის“, „მუდამ“)...

10. -**ალ** // -**არ** სუფიქსი:

ა) კომპონენტია რთული ალ-ინ//ბ-ალ-ინ და ალ-ენ//ბ-ალ-ენ სუფიქსებისა, რომლებიც კრებით რიცხვით სახელებს აწარმოებენ: ხიბ-ალ-ინ/ხიბ-ალ-ენ „სამივე“, „სამივე ერთად“ (ხიბ „სამი“), ჯო-ბ-ალ-ინ/ჯო-ბ-ალ-ენ „ხუთივე“, „ხუთივე ერთად“ (ჯო „ხუთი“)... უდიური ენის ნიჯურ დიალექტში -არ-ან სუფიქსიანი წარმოება გვაქვს: ბიპ-არ-ან „ოთხივე“...;

ბ) ნიჯურ დიალექტში -არ სუფიქსი, რომელსაც დაშორებითი ბრუნვის (აბლატივი) ნიშანი ემატება, წილობით რიცხვითი სახელების წარმოებაშიც მონაწილეობს: ვიწ-არ-ახ-უნ საფად „1/10“, ყა-რ-ახუნ პავად „2/20“ (ფად „წილი“)...

11. -ან სუფიქსი:

ა) უდიდური ენის ნიჯურ კილოში -ან სუფიქსი რთული ფორმანტის კომპონენტია, რომელიც აწარმოებს კრებით რიცხვით სახელებს: მულ-არ-ან „რვავე“ (მულ „რვა“)....;

ბ) ინფინიტივ-მასდარის ფორმაზე ამ სუფიქსის დართვით იწარმოება სუპინუმი – მიზეზ-მიზნის/მიზანდასახულობის გამო-მხატველი ფორმა: ბიყს-ან „შესაპყრობად“ (ბიყეს „პყრობა“), ბასკეს-ან „დასაწოლად“ (ბასკეს „წოლა“)....;

გ) აღნიშნული სუფიქსი თავს იჩენს აბსოლუტივის წარმოებაშიც: ბა-ტ-ან „კეთების დროს“, ბაქა-ტ-ან „დაბადებისას“....;

დ) აწარმოებს ზმნისართებსაც, როგორც დამოუკიდებლად, ისე, მეორე კომპონენტად –ტ-ან სუფიქსის შემადგენლობაში: მელ-ან „აქედან“ (მე „აქ“), ჯომ-ტ-ან „შემდგომ“, „მას უკან“ (ჯომ „უკან“), ბომ-ტ-ან „შიგნიდან“ (ბომ „შიგნი“)...

12. ზ-//ზვ- პრეფიქსი:

ა) უდიდურ სიტყვა-ფორმათა ერთ ნაწილში შეიძლება პრეფიქსად გამოვეყნოთ ისტორიულად მოქმედი კლასის გრამატიკული კატეგორიის ფუძესთან შეხორცელებული ნიშანი: ბა-ქ-სუნ „ყოფნა“ (შდრ. რუთულური დი-ქ-ისი / რი-ქ-ისი / ვი-ქ-ისი „ყოფნა“ (გრამ. კლასების მიხედვით)), ბო-კ-სუნ „წვა“ (შდრ. არჩიბული უ-კ-ას / დო-კ-ას / ბო-კ-ას „წვა“ (გრამ. კლასების მიხედვით))....;

ბ) დასაშვებია, რომ კლას-კატეგორიის ისტორიული ნიშანი, რეინტერპრეტაციის შედეგად, ჩანდეს კრებითი რიცხვითი სახელების რთული ბ-ალ-ინ / ბ-ალ-ენ ფორმანტთა შემადგენლობაშიც.

როგორც ვნახეთ, განხილული ფლექსიური და სადერივაციო სუფიქსები პოლიფუნქციურობით გამოირჩევა. ფლექსიური სუფიქსები წარმოადგენს ბრუნვის ნიშნებს, რომელთაგან ზოგიერთი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ბრუნვის მაწარმოებლადაც კი შეიძლება შეგვხვდეს. სხვა საკითხია, ეს მორფოლოგიური ერთეულები წარმომავლობით ერთი და იგივეა, თუ სხვადასხვა ოდენობებს წარმოადგენს. სინქრონიულ დონეზე მათი მატერიალური იდენტურობა (ფონეტიკური შედგენილობა) და ფუნქციათა მსგავსება ცხადია. როგორც ჩანს, ფუნქციათა გამრავლფეროვნება ენის განვითარების შემდგომ ეტაპს ასახავს, ამას უნდა მიგვანიშნებდეს ბრუნვის ნიშნების აქტიურად გამოყენება სადერივაციო სუფიქსებად.

სამეგრელოს ტოპონიმიკის პრობლემები – ისტორია და თანამედროვეობა

მოხსენებაში განხილული საკითხები აღწერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებს, ასევე ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალას. კვლევა შესრულებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში და ითვალისწინებს გეოგრაფიულ სახელთა (ჩვენს შემთხვევაში სამეგრელო-ზემოსვანეთის ტოპონიმთა) შეჯერება-გასწორებას.

მასალის ანალიზმა გამოკვეთა რამდენიმე პრინციპული საკითხი და პრობლემა, რომელიც მოითხოვს გარკვეული კორექტივების შეტანას გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიაში, ასევე რიგი გეოგრაფიული სახელების სახელდების გადახედვას...

საანალიზო მასალა შევუდარეთ ისტორიულ წყაროებში, სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვადასხვა დოკუმენტებში წარმოდგენილ ფორმებს, აგრეთვე ადგილზე შევამოწმეთ საექვო ფორმები.

სადავო ფორმები საკმაოდ მრავალრიცხოვანია, შესაბამისად, შევვხებით მხოლოდ ერთი სახის პრობლემას – არასწორად ჩაწერილ ფორმებს.

სერიოზულ პრობლემას ქმნის უცხოელი კარტოგრაფების მიერ ტოპორუკებზე დატანილი გეოგრაფიული სახელები. ქართულის არმცოდნეების მიერ ჩაწერილ ფორმებში, ბუნებრივია, ვერ აისახებოდა სპეციფიკური ბგერები, მაგრამ რატომღაც ვერ მოხერხდა მათი შესწორება.

ასეთი დაუდევრობის გამო გაჩნდა საჯარო რეესტრის ბაზაში:

შვეითცელამი / შვეიტცელამი < შქვითწელამი (მთა-პიკი).
„შვიდწელიანი / შვიდწელა“.

ჩხვინდგულია (მთა-პიკი) < ჩხვინდღულა = „ცხვირმრუდე“.

კვარკვალის გვალე (ადგილის/მიჯნის სახელწოდება) < კვარკვალაგვალა = „მრგვალი მთა“.

წიპურგეფულა (ადგილის/მიჯნის სახელწოდება) < წიფურგედულა = „მრუდე წიფელი“.

ციპესუკი (ადგილის/მიჯნის სახელწოდება) < **კიფესუკი** = „ვიწრო სერი“.

ცაცვიბალი (მთა-პიკი) < **ცაშვიბული** = „ცის კიბეს“.

ჩიტას წყურვილი (ადგილის/მიჯნის სახელწოდება) < **კითა-წყურვილი** = „წითელი წყარო“.

ჩილე ტობავარჩხი (ტბა) < **კიპე ტობავარჩხილი** = „პატარა ტობავარჩხილი“. შდრ. **კაბეტი ტობავარჩხილი** – ტბა მდ. მაგანის სათავესთან (წალენჯიხის რ-ნი).

ჩიტადიხა (ადგილის/მიჯნის სახელწოდება) < **კითადიხა**. = „წითელი მიწა“

საპაცერო (ადგილის/მიჯნის სახელწოდება) < **საფაცერო**

ოტიპური (ადგილის/მიჯნის სახელწოდება) < **ოთიფური** = „სათიბი“.

ოთეპურადუდი (მთა-პიკი) < **ოთიფურედუდი** = „სათიბის თავი“

ტურაყელი (ადგილის/მიჯნის სახელწოდება) < **ტურაშყუჯი** = „ტურის ყური“

განაკაკა (ადგილის/მიჯნის სახელწოდება) < **ნაკაკა** = „დანაჭდევი“

ოგეჯა (მთა-პიკი) < **ოლეჯედუდი** = „საღორის თავი“

ნაბერაგა (მთა-პიკი) < **ნაბერალუ** = „ნაბაირალაღი“. **ბაირაღს** მეგრულში შეუძენია გადატანითი მნიშვნელობაც – აღნიშნავს გეოდეზიურ წერტილებს.

დიდგალიდუდი (მთა-პიკი) < **დიდღალიშდუდი** „დიდი ღელის თავი/სათავე“.

წარმოდგენილ სიაში პრობლემურია თარგმნილი ტოპონიმები. სამეგრელოში არაერთ მდინარეს ჰქვია **უჩაღალი**, რაც „შავ ღელეს“ ნიშნავს. მათგანს ერთ-ერთს შეეცვალა სახელი და **შავღელე** დაერქვა.

ასევე არასწორია სხვა ფორმები: **ტყემლისპირი** (ადგილის/მიჯნის სახელწოდება). უნდა იყოს ისტორიული **ყომურჯინჯი** „ტყემლისპირი“.

შავიტყე (ადგილის/მიჯნის სახელწოდება) – სამეცნიერო ლიტერატურასა და ადგილობრივთა მეტყველებაში წარმოდგენილია **უჩატყა**.

ატამასხევი (ღელე) – ისტორიული და სწორი ფორმაა **ატამონა**.

კლდეჯინჯი (მთა-პიკი) – იყო და დღემდე ადგილობრივთა მეტყველებაში ჰქვია **კირდაშჯინჯი**....

„ხანდაზმულ“ შეცდომებს ემატება დღევანდელი, დაუდევრობით, უნებლიეთ თუ შეგნებულად დაშვებული შეცდომა – თითქმის ყოველდღე ჩნდება ახალ-ახალი საგზაო ნიშნები, ტრაფარეტები, სადაც დარღვეულია ნორმები, თვითნებურად არის თარგმნილი (ხშირ შემთხვევაში არასწორად) გეოგრაფიული სახეები.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ვინ ნაცვალსახელის სინტაგმატიკის

ზოგი თავისებურებისათვის

ზეპირმეტყველებაში დასტურდება ისეთი სახის წინადადებები, რომლებიც შედგენილია სპეციფიკური გამოთქმებით. კერძოდ, ასეთია **ვინ** ნაცვალსახელის შემცველი ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი: „**ვინ ვინ და** ეს კაცი დივერსიაზე არ უნდა საუბრობდეს“; „**ვინ ვინ და** ნარმანია შორსაა ძველბიჭური ტერმინოლოგიისაგან“; „**ვინ ვინ და** ყველასათვის საყვარელი მომღერალი არის დღეს ჩვენი სტუმარი“.

ამგვარ შემთხვევებში არ გვაქვს ფუძის გაორკეცება, როგორც ეს, მაგალითად, **ეს-ეს არის, ის-ის იყო** შესიტყვებებში გვხვდება. თუმცა მისი გამეორებით დასახელებულ კონსტრუქციებში ის ექსპრესიის გამომხატველი ჩანს, ისეთი, როგორიც ზემოდასახელებულ გამოთქმებში გვაქვს. სავარაუდოა, რომ **ვინ** ნაცვალსახელის გამეორებით გამოიხატება, ერთი მხრივ, სათქმელის გაძლიერება, მეორე მხრივ, დაპირისპირება, წინააღმდეგობა დასახელებულ პირსა და მოქმედებას შორის, რომელზედაც წინადადებაში კეთდება აქცენტი. შევადაროთ: „**ვინ ვინ და** ეს კაცი დივერსიაზე არ უნდა საუბრობდეს“ – დივერსიაზე განსაკუთრებით ეს კაცი არ უნდა ლაპარაკობდეს; „**ვინ ვინ და** ნარმანია შორსაა ძველბიჭური ტერმინოლოგიისაგან“ – განსაკუთრებით ნარმანიაა შორს ძველბიჭური ტერმინოლოგიისაგან.

ცნობილია, რომ ექსპრესიის გამოსახატავად ენა ერთ ფრაზაში იმეორებს ხოლმე გასაძლიერებელ სიტყვას. ამდაგვარია შემდეგი სტრუქტურის წინადადებები: „**ვინ, ვინ** გააკეთა ეს?“, „**ვინ, ვინ** შეძლებს ჩემთვის ამის შესრულებას!“. ხოლო სასვენი ნიშნის გარეშე **ვინ** ნაცვალსახელის გამეორებას ენა იყენებს არა ერთ, არამედ სხვადასხვა პირზე მისათითებლად: „ამ დაკვირვებლებთან **ვინ ვინ** არის?“, „იქნებ გამაგებინოთ, ამ ფილმში **ვინ ვინ** არის?“

თავისებურებით გამოირჩევა ასევე **ვინ** ნაცვალსახელის შემცველი ამგვარი წინადადებები: „შენისთანა კაცისგან მიკვირს, **ვინ შენ და ეგეთები?**“, „**მე ვინ და შენ ვინ!**“ ცნობილია, რომ დასახელებულ შემთხვევებში შინაარსობრივად შეპირისპირება იგულისხმება – რა შესაფერია? რა შესადარებელია? რა შესათავსებელია? (ქეგლი)

გაბმულ მეტყველებაში **ვინ** ნაცვალსახელის გამოყენება მრავალფეროვანია. ადამიანის ჯგუფის აღსანიშნავად ენაში მის გვერდით ერთგვარ შესიტყვებად ზოგჯერ **რა** ნაცვალსახელიც დასტურდება: „მინდა აქაურმა ქართველებმა უფრო კარგად იცოდნენ **ვინ ვარ** და **რა ვარ**“; „თუ თქვენ ჩემს ნათქვამში გეპარებათ ეჭვი, ნებისმიერს, ვინც იცის, **ვინ ვარ** და **რა ვარ**, ჰკითხეთ“; „თავად არ ვიცი, **ვინ ვარ** და **რა ვარ**“; „გარკვევით ვიტყვი: **ვინ ვარ** და **რა ვარ!**“; „მე დავიბენი, აღარ ვიცი **ვინა ვარ, რა ვარ**“. ზოგადად, ქართულს არ ახასიათებს ადამიანთა **რა** ჯგუფში მოქცევა, ენა მას მხოლოდ **ვინ** ჯგუფში აერთიანებს, მაგრამ დასახელებულ ფრაზებში ეს ვლინდება. ამგვარი შემთხვევები შესაძლოა გავიაზროთ **ვინ ვარ** და **როგორი/რანაირი ვარ** სემანტიკით. ცნობილია, რომ ქართულში **რა** ნაცვალსახელი **როგორი, რანაირი** შინაარსითაც გამოიყენება (რა შეუბრალებელია ადამიანი). ვფიქრობთ, აქაც ასეთ შემთხვევასთან გვაქს საქმე. მართალია, **რა** ადამიანთან ძირითადად გამოიყენება თავის მსაზღვრელთან (რა კაცია!), მაგრამ **ვარ** შემასმენელთანაც დასტურდება.

ლექსიკონის აგებისა და სიტყვათესხების წესები 1935 წლის რუსულ-აფხაზურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში

საკითხი დამუშავდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში (FR-23 - 15212).

ქ. სოხუმში მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში არსებობდა **აფხაზეთის ახალი ანბანის კომიტეტი**, რომლის თავმჯდომარეები სხვადასხვა დროს იყვნენ აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარეები, ხოლო მოადგილედ მუშაობდა **აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის** (შემდგომში: **აფხაზური კულტურის) ინსტიტუტის** დირექტორი, ერთ-ერთი პირველი აფხაზი პროფესიონალი ენათმეცნიერი **არსენ ჰაშბა**. სწორედ ამ ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის სექტორში შედგა და 1935 წელს გამოიცა „**რუსულ-აფხაზური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონი**“.

ლექსიკონი გამოცემამდე განუხილავს და დაუმტკიცებია **აფხაზეთის განსახკომის ტერმინოლოგიისა და ორთოგრაფიის კომიტეტს** შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე **ზაქარია აგრბა** (განათლების სახალხო კომისარი), პირველი ენათმეცნიერები **ვიქტორ კუკბა** (კომიტეტის მდივანი) და **არსენ ჰაშბა**, მწერლები და მეცნიერები **დიმიტრი გულია**, **მუშნი ჰაშბა**, **სამსონ ჭანბა** და პედაგოგი **ნესტორ თარკილი**. წიგნი გამოიცა აფხაზეთის ახალი ანბანის კომიტეტის გრიფით. **იმდროინდელი წესის შესაბამისად**, ამ გამოცემას უეჭველად ექნებოდა სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოსთან არსებული ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტის თანხმობაც და ფინანსური მხარდაჭერაც.

საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ა. ჰაშბას წინასიტყვაობა (გვ. III-V) იმის შესახებ, თუ რა პრინციპებზე აიგო წიგნის პირველი ვარიანტი, რა დაიწუნა აფხაზეთის ცაკის პრეზიდიუმმა და რა მითითებებს დაემყარნენ შემდგენლები ახალი ვარიანტის წერის დროს. ირკვევა შემდეგი:

1. აფხაზეთის ცაკის პრეზიდიუმს ლექსიკონის პირველი ვარიანტი განუხილავს 1935 წლის 10 მაისს (ა. ჰაშბას წინასიტყვაობა დაწერილია იმავე წლის 2 ოქტომბერს), თუმცა ავტონომიის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ადრეც განუხილავთ მასზე მუშაობის საკითხები.

2. ა. ჰაშბა აღნიშნავს, რომ წარსულში ლექსიკონზე მუშაობის დროს შემდგენლებს დაუშვიათ „**ნაციონალისტური შეცდომები**“. მეცნიერი იქვე იმოწმებს ვრცელ ციტატებს აფხაზეთის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 10 მაისის დადგენილებიდან, რომლებიც აჩვენებენ, თუ რა მიაჩნდა რეეიმს „**ნაციონალისტურ შეცდომებად**“, კერძოდ:

- ცდები აფხაზურად ეთარგმნათ ამ ენაში უკვე დამკვიდრებული ინტერნაციონალიზმები;

- თანამედროვე ტერმინთა პოლიტიკური შერყვნის ფაქტები, როცა ახალი სინამდვილის აღმნიშვნელ ტერმინებად უცდიათ, დაენერგათ ძველი პოლიტიკური რეალობის აღმნიშვნელი სიტყვები (დასახელებულია ორი მაგალითი: სიტყვა **აჰაზა** „ბატონის საკუთრება, ბატონის ქონება“ გამოუყენებიათ **გადასახადის** აღსანიშნად, ხოლო ძველი ტერმინი **აქმაჰია** „მოურავი“ – **მმართველის** სემანტიკით.

3. ცაკის პრეზიდიუმს დაუდგენია შემდეგი:

- ახალი ტერმინოლოგიის შესაქმნელ მთავარ ბაზად უნდა გამოყენებულიყო აფხაზური ენა და მისი დიალექტები;

- საერთაშორისო პოლიტიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია, ანუ ისეთი სიტყვები, როგორიცაა: **პროლეტარი, რევოლუცია, სოციალიზმი, კოლხოზ** „კოლმეურნეობა“, **სოვეტ** „საბჭო“, **ტრაქტორი, ტელეგრაფი, ფიზიკა, ტექნიკა**..., უნდა შემოვიდეს სხვა ენებიდან (რეალურად იგულისხმებოდა მხოლოდ რუსული ენა!);

- აფხაზური ტერმინების შესაქმნელ ბაზად ცხადდებოდა აბჟურური და ბზიფური დიალექტები, ზოგჯერ კი „სხვა დიალექტებიც“ (აფხაზურს იმ დროს უკვე მხოლოდ ორი დიალექტი ჰქონდა და გაუგებარია, რა იგულისხმებოდა სხვა დიალექტებად);

ძალზე მნიშვნელოვანია დადგენილების მე-3 პუნქტი, რომელიც ავალდებულებდა შემდგენლებს შემდეგს: **აფხაზურ ენაში ინტერნაციონალური ტერმინები და საკუთარი სახელები გადაღებული უნდა იქნეს ორიგინალიდან, ოღონდ დაუმახინჯებლად**. აქ ცხადია, ცაკი მოითხოვდა არა ბერძნულ-ლათინური, ფრანგული, ან

გერმანული ორიგინალების ხელშეუხებლობას, არამედ იმას, რომ **აფხაზური დაწერილობა მაქსიმალურად უნდა დაახლოებოდა შესაბამისი სიტყვების რუსულ ორთოგრაფიასა და ორთოეპიას, რაც შექმნიდა აფხაზური ენის ფონოლოგიური სისტემის მორყევის საფუძვლებს.** შდრ.: 1. გ. სერდიუჩენკოს ცნობა, რომ მონაწილეობდა აბაზურ ენაზე ინტერნაციონალიზმების, სოვეტიზმებისა და რუსიზმების რუსული ორთოგრაფიული წესების დარღვევით გადმოცემის აკრძალვის დაწესებაში; 2. რუსულ-აფხაზური ტერმინოლოგიური ლექსიკონის ტექსტზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ეს ვერაგული წესი საკმაოდ ხშირად იყო დაცული ამ ლექსიკონის შემდგენელთა მიერ, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა და დღესაც უქმნის აფხაზური ენის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

თ ე ი მ უ რ ა ზ გ ვ ა ნ ც ე ლ ა მ ე

რუსიფიკაციის ფარული ხერხები აფხაზეთში ასი წლის წინ

საკითხი დამუშავდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში (FR-23 - 15212).

საარქივო მასალა ცხადყოფს, რომ კომუნისტური ხელისუფლების დროს რუსიფიკაციის ორი პერიოდია გამოსაყოფი:

ა) 1917-1935 წლებში იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ბოლშევიკები უარს აცხადებდნენ რუსეთის იმპერიის რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე და მიზნად ისახავდნენ მცირერიცხოვან ეთნოსთა ენების განვითარებას, მათი გამოყენების სფეროთა გაფართოებასა და ენობრივი თანასწორობის დამყარებას. მაგალითად, აფხაზეთში ამ პერიოდში ცხრა ენა-დიალექტზე შეიქმნა ე.წ. ეროვნული სკოლები, თუმცა მათ უმრავლესობაში სწავლების ენა მე-4 კლასიდან მხოლოდ რუსული იყო; დაარსდა აფხაზური, ქართული, ბერძნული და სომხური თეატრალური დასები; მწერალთა კავშირში შეიქმნა

აფხაზური, ქართული, სომხური და ბერძნული სექციები; გამოდიოდა გაზეთები აფხაზურად, ქართულად, სომხურად და ბერძნულად, აგრეთვე ლაზურად და მეგრულად...;

ბ) 1936 წლიდან არარუსთა მიმართ პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა: ე.წ. ეროვნულ სკოლებში სწავლება მთლიანად გადავიდა რუსულ ან ქართულ ენებზე, დაიხურა ბერძნული და სომხური თეატრალური დასები, შეწყდა გაზეთების გამოცემა ეროვნულ ენებზე (დარჩა მხოლოდ აფხაზური და ქართული), რუსული ენის სწავლება საყოველთაოდ სავალდებულო გახდა, საქმისწარმოება მანამდეც უპირატესად რუსულად ხდებოდა და ამჯერად უფრო გაფართოვდა...

საარქივო დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ პირველი ეტაპზე, რომელსაც სტალინი **კორენიზაციას** უწოდებდა, მიმდინარეობდა მოჩვენებითი ნაციონალიზაცია: არარუსთა უფლებების გაზრდა მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყო და მათი გულის მოგებას ისახავდა მიზნად, ფაქტობრივად კი **1917-1935 წლებში დეკლარირებული მიზნები მხოლოდ სატყუარა იყო და ფარულად მიმდინარეობდა ნი-ადაგის შემზადება, რათა ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე დაწყებულიყო აშკარა რუსიფიკაციის მასობრივი პროცესი**. საქმე ისაა, რომ ლენინ-სტალინ-ტროცკის სტრატეგიული გეგმა გულისხმობდა მსოფლიოში ერთიანი სოციალისტური სახელმწიფოს, **მსოფლიოს შეერთებული შტატების** შექმნას, რომელშიც აუცილებლად უნდა გამქრალიყო სოციალური, რელიგიური, ენობრივი და ეთნიკური სხვაობანი და საბოლოოდ მსოფლიოს უნდა ელაპარაკა ან მარტო ინგლისურად, ან ინგლისურად და რუსულად. ამ გეგმის აღსასრულებლად 1922-1923 წლებიდან დაიწყო დამწერლობათა ლათინიზაციის მასობრივი პროცესი, რომელიც ერთხანს რუსული, ქართული და სომხური ენების ლათინიზაციასაც გულისხმობდა (ნ. იაკოვლევი, ნ. მარი).

ლათინიზაციას მალე დაუკავშირეს ისეთი აქტივობებიც, რომლებიც გარეგნულად პოლიტიკასა და რუსიფიკაციას თითქოს არ უკავშირდებოდა. მაგალითად, მოსკოვში არსებული **ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი** განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ლათინიზებულ ენებზე სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნასა და ორთოგრაფიული ნორმების შემუშავებას, რაც გარკვეუ-

ლი იდეოლოგიური სტანდარტის მიხედვით უნდა შესრულებულიყო. მაგალითად, **სავალდებულო იყო ეროვნულ ენებში ინტერნაციონალური ტერმინების, სოვეტიზმებისა და რუსიზმების უთარგმნელად, ან კალკირების გარეშე გადაღება, ეს ლექსიკა უნდა დაწერილიყო არა ეროვნული ენის ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით, არამედ ლათინური ასოებით, ოღონდ რუსული ენის ნორმის ზუსტი შესაბამისობით** (ვთქვათ, სიტყვა **რევოლუცია** ქართულად უნდა დაწერილიყო როგორც **რევოლიუცია**, აზერბაიჯანულ ენაში იკრძალებოდა ამ ენისათვის უცხო **ც** ფონემის შეცვლა **ს** ბგერით, ან სიტყვის დასაწყისში თანხმოვანთა კომპლექსების გამარტივება...). **ამ ფარული ხერხებით ხდებოდა საბჭოთა კავშირის არარუსული ენებისათვის უცხო ფონოლოგიური წესების თავს მოხვევა, რაც ანგრევდა ამ ენათა საარტიკულაციო ბაზისს რუსული ენის საწარმოთქმო ბაზისის ზეწოლით.** ამ წესის ფარულად არსებობას ადასტურებდა ცნობილი შოვინისტი ენათმეცნიერი **გიორგი სერდიუჩენკო** 1955 წელს აკად. **ქ. ლომთათიძესთან** დისკუსიის დროს, აბაზური ენისათვის ეს წესები მე დავამკვიდრეო.

რუსიფიკაციის ამ ფარულ ხერხებს გვერდი არც აფხაზური ენისათვის აუვლია, რაც შემდეგ ენობრივ ფაქტებშია ასახული:

1. აფხაზი ავტორების მიერ 1930 და 1935 წლებში გამოცემულ ორ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში შეტანილი **ინტერნაციონალიზმები, სოვეტიზმები და რუსიზმები ჩაწერილია აფხაზური ენის ფონოლოგიურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად.** კერძოდ, ამ ენაში სხვა ენიდან შესულ სიტყვებში **ე, ი, ო, უ** ხმოვნები გავლენას ახდენენ თანხმოვნებზე: **ე, ი** იწვევენ ფონემათა ჯგუფის პალატალიზაციას, ხოლო **ო, უ** ხმოვნები – ლაბიალიზაციას. დასახელებულ ორ ლექსიკონში სესხების ეს ფონოტაქტიკური წესები უგულებელყოფილია და **დასახელებულ ხმოვანთა შემცველი სიტყვები ჩაწერილია ლათინიზებული ანბანით, ოღონდ რუსული ენის წარმოთქმისა და წერის ნორმების შესაბამისად.** მაგალითად, რუსულიდან ნასესხები **банкир** „ბანკირი“ წესით უნდა ჩაეწერათ ასე: **abank’ar**, მაგრამ წერია **abankir**; რუსულიდანვე შესული **баллон** „ბალონი“ სიტყვა წესით უნდა დაწერილიყო როგორც **aballwan** (**o > wa**), მაგრამ ჩაწერილია როგორც **aballon**, ანუ აფხაზური ენის ორთოეპიის ნორმა ხელოვნურადაა გაუქმებული;

ასევე რუსულიდან გადაღებულ სიტყვებში, რომლებიც რბილ თანხმოვნებს შეიცავენ, ამ ფონემათა სილბო, რაც რუსულს ახასიათებს, მაგრამ უცხოა აფხაზური ენისათვის, **აფხაზურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში გადმოცემულია სპეციალური ნიშნით, ანუ აფხაზურს თავს მოახვეის ის ფონემები, რაც მას არ მოეპოვებოდა.** მაგალითად, დღემდე ასეა გადმოცემული სილბო სიტყვებში: **кальций** „კალციუმი“, **культура** „კულტურა“, **калькуляция** „კალკულაცია“ და სხვა.

დღემდე ენობრივი ძალადობის კიდევ ერთი გამოვლინებაა **შემოკლებულ სიტყვათა, ანუ აბრევიატურის აფხაზურში გადაღების ანტიაფხაზური წესები.** 20-იან წლებში ამ საკითხის გადაწყვეტაში დაუფარავად ჩაერია აფხაზი ფუნქციონერი **ნესტორ ლაკობა**, რომელმაც დაიწუნა აფხაზ მეცნიერთა, კერძოდ, **დიმიტრი გულიას** მცდელობა, აფხაზურ ნიადაგზე შეემუშავებინათ აბრევიაციის წესები და მრისხანედ განაცხადა, აფხაზურმა ენამ არ იცის შემოკლებული სიტყვები, ამიტომ თუ გსურს, აფხაზურად დაწერო **Главное политическое управление** „მთავარი პოლიტიკური სამმართველო“, დაწერეთ პირდაპირ **ГПУ** და ნუ იჭყლეთ ტვინსო. ასე იძულებით დაინერგა აფხაზურ ენაში უამრავი რუსული აბრევიატურა: **Абкурупр < Курортное управление Абхазии** „აფხაზეთის კურორტების სამმართველო“, **Абпромсоюз < Промышленный союз Абхазии** „აფხაზეთის სამრეწველო კავშირი“, **Абтабак < Управление табачной промышленности Абхазии** „აფხაზეთის თამბაქოს მრეწველობის კავშირი“, **США < Соединенные штаты Америки** „ამერიკის შეერთებული შტატები“...

ამრიგად, აფხაზური ენის მიმართ ჯერ კიდევ კორენიზაციის ეტაპზე და შემდგომ გამოყენებულმა ფარულმა რუსიფიკატორულმა ხერხებმა დიდი ზიანი მიაყენეს აფხაზურ ენას, დაარღვიეს მისი ბუნებრივი ეკოლოგიური იერსახე, ჩანერგეს მანამდე უცხო ფონემები, შეარყიეს ენის საარტიკულაციო ბაზისი, რუსული ფორმით გაავრცელეს ასობით საერთაშორისო ტერმინი, სოვეტიზმები და რუსიზმები, მართლწერისა და მართლმეტყველების უცხო წესები, როცა სიტყვათა დაწერილობა და წარმოთქმა დაშორებულია ერთიმეორისაგან.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი , რ ო ე ნ ა ჭ კ ა დ უ ა

მემატიანე ტოპონიმთა ფუნქციის მიკროტოპონიმები სვანურ ტოპონიმიაში

1. ონომასტიკური ტიპის მოვლენათა ამსახველ ტერმინთა შორის, ახალი სემანტიკური ტერმინი (ანტისემანტიკური ტოპონიმები) შემოაქვს ცნობილ ენათმეცნიერსა და ონომასტიკოსს ქ. გოდერძიშვილს. „ექსტრალინგვისტური ეტიმოლოგიის შემთხვევებს“ უწოდებს მათ პატივცემული მეცნიერი და იქვე გახაზავს ამ ტოპონიმთა „მემატიანე ფუნქციას“.

რატომ ანტისემანტიკური? რადგანაც ტერმინი ტოპონიმიაში თეორიულ სიახლეს წარმოადგენს, მოგახსენებთ პირველავტორის თვალსაზრისს: ერთი შეხედვით გამჭვირვალე სემანტიკის გეოგრაფიულ სახელებს, სემანტიკა კი აქვთ მეტყველი, მაგრამ ასახავს „არა ამ სემანტიკით გადმოცემულ რეალობას, არამედ სხვა ისტორიულ სინამდვილეს ან 2) არარსებულ ფაქტს“ (ქ. გოდერძიშვილი, თეორიული სიახლენი ტოპონიმიაში). (მაგ.: **სარჯველადის ვენახი** – სარჯველაძეები აღარ ცხოვრობენ. **მუხიანი** – ადრე მუხის ტყე ყოფილა, ახლა არცერთი ძირი მუხა აღარ არის. **გველესიანების ჭაობი** – აღარც ჭაობია და აღაც გველესიანები სახლობენ ა. შ. და ა. შ.).

აღნიშნული ტიპის ტოპონიმებს გარკვეული ისტორიულ ონომასტიკური დატვირთვა აქვთ, ამიტომ მითითებენ მათ „მემატიანე ფუნქციაზე“.

2. ზემოთ ნახსენები სახის ტოპონიმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სვანურის, როგორც უმწერლობო ენის კვლევისას.

ა. ჭკადუას სვანურ ტოპონიმების შედგენა-ჩაწერისას, ზედმიწევნით დაუცავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებული ტოპონიმის ლაბორატორიის მიერ იმთავითვე ჩამოყალიბებული წესები. მას არ გამორჩენია ზემოთუ ქვემო სვანეთში არც ერთი სახელდებული ობიექტი აღწერის გარეშე, თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, გარემოსა და ლანდშაფტის დახასიათებით. მოთხრობილი აქვს გეოგრაფიულ სახელთან დაკავშირებული მითი თუ რიტუალი. ჩაწერილი აქვს ისეთი მიკროტოპონიმები,

რომლებიც აღნიშნული ლექსიკონის შედგენა-ჩაწერისას, მხოლოდ სახელით იყო შემორჩენილი (მაგ.: **რეზიანრე მურყვამ** – გვარი იმ პერიოდისთვის გადაშენებული იყო, კოშკის ძირი მოსწორებული და კალოდ იყო გადაკეთებული **ლჰუდგლდჰ** „სამჭედლო“ – იმ დროისთვის, როგორც ა. ჭკადუა აღნიშნავს, სამჭედლოს ნიშანწყალი არ იყო).

მსგავსი ანტისემანტიკური მიკროტოპონიმები მრავლად ფიქსირდება სვანურ ტოპონიმიაში.

ისტორიულ-ონომასტიკური დატვირთვა აქვს მიკროტოპონიმთა დიდ ჯგუფს, რომლებიც ყველა ქართველურ ენაში მრავლად ფიქსირდება; ფუძის გაფორმების მიხედვით ასეთ სახელებს **ნა**-პრეფიქსიანებს, ხოლო სემანტიკის მიხედვით წინავითარების სახელებს უწოდებენ. ჩვენი კვლევის შემდგომი ეტაპი, ასეთი ტოპონიმების კვლევა იქნება.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ს

ორპირიანი საშუალმოქმედებითი გვარის ზმნათა III სერიის ფორმათა მართლწერა

ორპირიანი საშუალმოქმედებითი გვარის ზმნები თურმეობითში პარალელურ ვარიანტებს გაიჩენს: **უ-პასუხ-ია //უ-პასუხ-ებ-ია, უ-გარაუდ-ია // უ-გარაუდ-ებ-ია, უთავხედა //უთავხედებია...**

პარალელური ფორმები დასტურდება ამ ზმნების II თურმეობითსა და III კავშირებითშიც:

**უ-პასუხ-ა //ე-პასუხ-ებ-ინა, ე-გარაუდ-ა // ე-გარაუდ-ებ-ინა,
ე-თავხედ-ა //ე-თავხედ-ებ-ინა...
უ-პასუხ-ოს //ე-პასუხ-ებ-ინოს, ე-გარაუდ-ოს // ე-გარაუდ-ებ-ინოს,
ე-თავხედ-ა //ე-თავხედ-ებ-ინა...**

განსახილველ ზმნათა შესახებ ნორმა არ არსებობს; „ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ჩვენება არერთგვაროვანია: (ა) ერთ შემთხვევაში მართებულად მოიიჩნევა მარტივთემიანი ვარიანტი (**უმასპინძლია, უღალატია**); (ბ) მეორე შემთხვევაში – რთულთემიანი ვარიანტი (**უპასუხებია, უპატრონებია**); (გ) ხოლო მესამე შემთხვევაში ორივე ვარიანტი დასაშვებადაა მიჩნეული (**უგულისხმია // უგულისხმებია, უგარაუდია // უგარაუდებია**)...

საყურადღებოა ეს ფაქტიც: აწმყოს სალექსიკონო ფორმებთან (**პატრონობს, ღალატობს**) ხშირად მესამე სერიის არცერთი ფორმა არაა მითითებული; მყოფადის სალექსიკონო ფორმებთან (**უპატრონებს, უღალატებს**) მიეთითება მესამე სერიის ფორმები... **ცხადია, თუ მივიჩნევთ, რომ ღალატობს – უღალატებს – უღალატა ერთი პარადიგმა, მესამე სერიის ფორმები უნდა მიეთითოს აწმყოს ფორმებთან...**

რაც შეეხება მესამე სერიას, ჩვენი აზრით:

მოქმედებითი გვარის ზმნათა III სერიაში მომხდარი სისტემური ენობრივი ცვლილების გათვალისწინება, **ერთი მხრივ**, ერთპირიანი საშუალმოქმედებითი გვარის ზმნათა III სერიის ფორმათა წარმოების პრინციპი (მეფობს – იმეფებს – უმეფია – ემეფა), **მეორე მხრივ**, და საანალიზო ფორმათა გავრცელებულობა, **მესამე მხრივ**, მხარს დაუჭერს იმას, რომ ნორმად იქნეს მიღებული მარტივთემიანი ფორმები:

I თურმ.: **უ-პასუხ-ია, უ-გარაუდ-ია, უ-თავხედ-ია...**

ასევე მარტივთემიანი ფორმები უნდა დაკანონდეს II თურმეობითსა და III კავშირებითში:

II თურმ.: **ე-პასუხ-ა, ე-გარაუდ-ა ე-თავხედ-ა...**

III კავშ.: **ე-პასუხ-ოს, ე-გარაუდ-ოს, ე-თავხედ-ოს...**

სახელზმნური კომპოზიტები თანამედროვე ქართულში

ქართულ ენაში დასტურდება რთულ სიტყვათა თავისებური სახეობა – ზმნური კომპოზიტები, რომელთა ორივე ნაწილი ფლექსიურ აფიქსებს დაირთავს: მივიხედ-მოვიხედე, მიიხედ-მოიხედა, ავიარ-ჩავიარე, აიარ-ჩაიარა და მისთ. ამგვარ ფორმათა გვერდით ენაში გვხვდება სახელზმნებისგან შედგენილი რთული სიტყვები, კერძოდ, მასდარები: მისვლა-მოსვლა, მიტან-მოტანა, კივილ-წივილი... და მიმღეობები: ამვლელ-ჩამვლელი, გადასატან-გადმოსატანი, მიფანტულ-მოფანტული და ა. შ. ამ ტიპის წარმოება განხილულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძე, თ. უთურგაიძე, ვ. ბოდერი, ა. არაბული...).

დასახელებული ტიპის ფორმებს შეიძლება სახელზმნური (მასდარული და მიმღეობური) კომპოზიტები ვუწოდოთ. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება მხოლოდ იმგვარი რთული სახელები, რომელთა ორივე ნაწილი სახელზმნაა: მასდარი (კვლევა-ძიება, ლოცვა-ვედრება, გავლა-გამოვლა...) ან მიმღეობა (ნასვამ-ნაჭამი, მოკაშკაშ-მოელვარე, მიბნეულ-მობნეული...). აღნიშნულ ჯგუფში არ განიხილება ის ფორმები, რომლებშიც მხოლოდ ერთი კომპონენტი სახელზმნური, მაგალითად: ხელაწეული, თავჩაღუნული, თვალთახედვა და მისთ.

სახელზმნურ კომპოზიტებში გამოიყოფა ორი შემთხვევა:

1. როდესაც ორივე კომპონენტი ერთი ძირისგან არის წარმოებული (იდენტურიძირიანი კომპოზიტები), განსხვავებულია მხოლოდ ზმნისწინები: ასვლა-ჩასვლა, მიტრიალ-მოტრიალება... გასაგზავნ-გამოსაგზავნი, მიმტან-მომტანი...
2. როდესაც კომპონენტები სხვადასხვა ძირისგან იწარმოება (სხვადასხვაძირიანი კომპოზიტები): მიმატება-გამოკლება, მოვლა-პატრონობა... მოხნულ-დათესილი, ნასვამ-ნაჭამი, ნაფიქრ-ნაგრძნობი...

ამ უკანასკნელ შემთხვევაში კომპოზიტთა პირველი ნაწილი ფუძის სახით არის წარმოდგენილი (ხმოვანფუძიანიც და თანხმოვანფუძიანიც), ამასთან, იგი არ იკვეცება: ჭამა-სმა, ხვეწნა-მუდარა, სიცილ-კისკისი, მიმტან-მომტანი, ჩაცმულ-დახურული...

იდენტურმირიან კომპოზიტთა პირველი ნაწილი გარკვეულ შემთხვევებში იკვეცება. ამასთან, ენაში დასტურდება პარალელური (მოკვეცილი და მოუკვეციელი) ვარიანტები:

გახედვ-გამოხედვა // გახედ-გამოხედვა (შდრ. გაიხედ-გამოიხედავს);

გაგორებ-გამოგორება // გაგორ-გამოგორება (შდრ. გააგორ-გამოაგორებს);

მიკიბულ-მოკიბული // მიკიბ-მოკიბული (შდრ. მიკიბ-მოკიბავს);

მილეწილ-მოლეწილი // მილეწ-მოლეწილი (შდრ. მილეწ-მოლეწავს) და მისთ.

მოხსენებაში განხილული იქნება ამგვარი პარალელური ფორმები და მათი მართლწერის საკითხი.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი დანართი „და“ კავშირით შეერთებულ საზღვრულებთან

სალიტერატურო ქართულში (ზეპირი თუ წერიტი მეტყველებისას) ხშირად დასტურდება ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი დანართი, რომელიც განსაზღვრავს **და** კავშირით შეერთებულ საკუთარ სახელებს. ერთი ნაწილი აღნიშნული ტიპის მსაზღვრელებისა კომპოზიტებია – ფუძეთანხმოვნიათი (**მამა-შვილი** კონსტანტინე და ზვიადი, **მამა-შვილი** კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები; **დედა-შვილი** ნინო და ნიკოლოზი, **დედა-შვილი** ნინო ასათიანი და ნიკოლოზ ფერაძე...) თუ ფუძეხმოვნიათი (**და-ძმა** მარიამი და ვახტანგი, **და-ძმა** მარიამ და ვახტანგ ციციშვილები; **ბიძა-ბიცოლა** და-

ვითი და ნათელა, **ბიძა-ბიცოლა** დავით და ნათელა სამსონიძეები...), ხოლო მეორე ნაწილი (აღნიშნული ტიპის დანართებისა) მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგება (**დები** ნინო და ეკატერინე, **დები** ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები; **ძმები** გრიგოლი და ზაქარია, **ძმები** გრიგოლ და ზაქარია ორბელიანები; **ბიძაშვილები** ქეთევანი და რუსუდანი, **ბიძაშვილები** ქეთევან და რუსუდან ფალავანდიშვილები...). არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მრავლობითშია დასმული კომპოზიტი დანართიც (**და-ძმები** ციციშვილები და ჩოლოყაშვილები, **და-ძმანი** რუხაძეები და ბერიშვილები...).

დასახელებული ტიპის დანართთა გამოყენებისას ერთმანეთის პარალელურად გვაქვს: მოთხრ. **მამა-შვილმა** კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებმა // **მამა-შვილმა** კონსტანტინემ და ზვიად გამსახურდიებმა // **მამა-შვილმა**, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებმა // **მამა-შვილმა** – კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებმა // **მამა-შვილი** კონსტანტინე და ზვიადის // **მამა-შვილ** კონსტანტინეს და ზვიადის // **მამა-შვილის**, კონსტანტინეს და ზვიადის // **მამა-შვილის** – კონსტანტინეს და ზვიადის, ან კიდევ: მიგ. **დებ** ნინოს და ეკატერინეს // **დებ** ნინო და ეკატერინეს // **დებს**, ნინოს და ეკატერინეს // **დებს** – ნინოს და ეკატერინეს // **დებს**: ნინოსა და ეკატერინეს..., ნათ. **ბიძა-შვილების** ქეთევან და რუსუდან ფალავანდიშვილების // **ბიძაშვილებ** ქეთევან და რუსუდან ფალავანდიშვილების // **ბიძაშვილების**, ქეთევან და რუსუდან ფალავანდიშვილების // **ბიძაშვილების** – ქეთევან და რუსუდან ფალავანდიშვილების და მისთ.

სიჭრელე შეიმჩნევა მაშინაც, როცა დანართი თუ საზღვრული თანდებულებით (შერწყმულითა თუ ცალკე მდგომით) ფორმდება: **მამა-შვილ** კონსტანტინე და ზვიად **გამსახურდიებზე** // **მამა-შვილზე** – კონსტანტინე და ზვიად **გამსახურდიებზე** // **მამა-შვილზე**, კონსტანტინე და ზვიად **გამსახურდიებზე** // **მამა-შვილზე**: კონსტანტინე და ზვიად **გამსახურდიებზე**; **დებ** ნინო და ეკატერინე **ჭავჭავაძეებთან** // **დებთან** – ნინო და ეკატერინე **ჭავჭავაძეებთან** // **დებთან**, ნინოსა და ეკატერინე **ჭავჭავაძეებთან**...; **ძმებ** გრიგოლ და ზაქარია **ორბელიანებისათვის** // **ძმები** გრიგოლ და ზაქარია **ორბელიანებისათვის** // **ძმებისათვის** – გრიგოლ და ზაქარია **ორბელიანებისათვის** //

ძმებისათვის, გრიგოლ და ზაქარია ორბელიანებისათვის...; ბიძაშვილების – ქეთევან და რუსუდან ფალავანდიშვილების შესახებ // ბიძაშვილების, ქეთევან და რუსუდან ფალავანდიშვილების შესახებ // ბიძაშვილების: ქეთევან და რუსუდან ფალავანდიშვილების შესახებ...

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება დასახელებული ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულთა შეთანხმების საკითხები (პუნქტუაციითურთ).

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

ორზემეტკომპონენტთან რთულ სიტყვათა მართლწერისათვის

თანამედროვე ქართულში ორზემეტკომპონენტის რთული სიტყვების შედგენილობა ნაირგარგვარია. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1986 წ.) წარმოდგენილ **-ა** (მაგ., **თავბრუდახვევა...**), **-ულ** (მაგ., **თავბრუდახვეული**), **-ალ** (მაგ., **თავპირჩამომტირალი...**), **-ილ** (მაგ., **თავქუდმოგლეჯილი...**), **-ელ** (მაგ., **თავბრუდამსხმელი...**), **-იან** (მაგ., **თავდაცვისუნარიანი...**)... მაწარმოებლებით გაფორმებულ კომპოზიტთაგან განსაკუთრებით მრავლად დასტურდება **-ულ** სუფიქსიანი რთული სიტყვები, რომლებიც შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

1. კომპოზიტის პირველი ორი კომპონენტი არსებითი სახელია, მესამე – **-ულ** სუფიქსით გაფორმებული მიმდებარეობა: **გულმკერდჩამოწეული; თავბრუდახვეული; თავპირდამტვრეული; თავზარდაცემული; თავრეტდასხმული; თავყურშეხვეული; გუდანაზადმოკიდებული...**

2. რთული სიტყვის პირველი ნაწილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მეორე კომპონენტი ფუძის სახით გამოხატული არსებითი სახელია, ხოლო მესამე – **-ულ** მაწარმოებლით გაფორმებული მიმდებარეობა: **შრომისუნარდაკარგული; შრომისუნარმოკლებული.**

3. კომპოზიტის პირველი კომპონენტი ფუძეგაორკეცებულია (არსებითი სახელები), მეორე – **-ულ** მაწარმოებლით გაფორმებული მიმღეობა: **თავთაგაგანებული; თავთაგდასხმული...**

4. რთული სიტყვის პირველი ნაწილი მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი არსებითი სახელია, მეორე კომპონენტი ზმნისართი (ძირ (ს), მესამე კი – **-ულ** მაწარმოებლით გაფორმებული მიმღეობა: **შტოებძირდაშეებული...**

ცალკე გამოყოფთ იმ სახის შესიტყვებებს, რომლებიც კომპოზიტად ქცევის ტენდენციას ამჟღავნებენ (**თავქვეშ ხელამოდებული, თავზე ხელაღებული...**).

ზემოთ დასახელებულ ლექსიკონში დასტურდება სხვა სახის ორზემეტკომპონენტია (დეფისიანი) რთული სიტყვებიც: **შავ-ვერცხლისფერი, შობა-ახალწელიწადი, კაბა-სარტყელ-გულისპირი, ქუდ-მოხდილ-ფეხშიშველი** და სხვა.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ორზემეტკომპონენტია რთულ სიტყვებთან დაკავშირებული მართლწერის რეკომენდაციები თანამედროვე ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით.

რ ო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

უდიურის კავკასიის ალბანურისაგან წარმომავლობის შესახებ

კავკასიის ალბანური ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე დიდ სიახლოვეს ავლენს უდიურ ენასთან. ამის მიუხედავად, გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოდ, რომ უდიური არ მომდინარეობს უშუალოდ კავკასიის ალბანური ენის იმ დიალექტისაგან, რომლის წერილობითი ძეგლებიც შემოგვრჩა (თუმცა, უეჭველია, რომ უდიური ერთადერთი შემორჩენილი ალბანური დიალექტია). ეს ვარაუდი ემყარება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ლექსემისა თუ ენობრივი ფაქტის შედარებისას უდიური უფრო ძველ, საერთოლექსეზურ მდგომარეობასთან მიახლოებულ ვითარებას გვიჩვენებს, ვიდრე კავკასიის ალბანური, მაგ.:

ჰალა : უდ. **ლახო** „მალა“, შდრ. ლეზგ. **მარდი** : თაბ. **მარხი** : ად. **მარხ-ე-ყ** : რუთ. **ხულაშ-დი** : წახ. **ხელი-ნ** : არჩ. **ლახა** : ბუდ. **ლახა** „მალა“ < ს.-ლეზგ. ***ალხა** „მალა“, „მალალი“; ლეზგიურში მოსალოდნელი ***ჰარხი-ს** მაგივრად გვაქვს **მარდი**. რუთულურში მოხდა რედუპლიკაცია. სხვ. დად.: დარგ. **ხალა-ლ** „დიდი“, ლაკ. **ჰალხა-** „მალალი“, „გაზრდილი“, ხუნძ. **ხალა-თ-აბ** „გრძელი“ და სხვ.;

ბაჰ : უდ. **ბაჩ** „ასი“, შდრ. ლეზგ. **ჟიშ** : თაბ. **ჟარყ**, დიუბ. **ჟარყა** : ად. **ბარშ**, ბურშ. **ჟარშ** : რუთ. **ჟაშ**, გელმ. **ჟაშ, -ენ** : არჩ. **ბაშა** < ს. ლეზგ. ***ბარჩ**; სხვ. დად.: ლაკ. **თ-ურშ**, ახვ. **ბეშანოდა** და სხვ.

კავკასიის ალბანურში ჩვენებით ნაცვალსახელებს დაკარგული აქვთ დისტანციური კონტრასტი, რომელიც უეჭველად იყო დამახასიათებელი საერთოლენგიური მდგომარეობისათვის. დისტანციური კონტრასტი კავკასიის ალბანურში შენარჩუნებულია ზმნისართებში: **ემე** „აქ“, შდრ. უდ. **მე** „ეს“; **ეშე** „იქ“ (II პირთან), შდრ. უდ. **შე** „ის“ (II პირთან); **ეტე** „იქ“ (III პირთან), შდრ. უდ. **თე** „ის“ (III პირთან). ძნელი წარმოსადგენია, რომ უდიურში დემონსტრაცივთა სისტემაში ჯერ მოხდა დისტანციური კონტრასტის მოშლა, ხოლო შემდგომ ის ისევ აღდგა.

უდიური ლენგიურ ენათა შორის გამორჩეულია pluralia tantum სახელების რაოდენობით: **ხიხაჯუხ** „ღმერთი“, **ჩუზუხ/ჩუვუხ** „ქალი“, „ცოლი“, **ელმუხ** „სული“, „სამშვინველი“, **ღირუხ** „მარხვა“, **იმუხ** „ყური“, **ულუხ** „უბილი“, **არუხ** „ცეცხლი“, **ბურუხ** „მთა“, **გორუხ**, **გოროხ** „ცოდვა“, **ჩომოხ** „კარი“, **ჯოლოხ** „შარვალი“, **ბოხ'მოხ** „ცხვირი“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ კავკასიის ალბანურში pluralia tantum სახელების სიმრავლე არ არის ასეთი საგრძნობი, მაგ., შდრ.: უდ. **ელმუხ** „სული“, „სამშვინველი“ : კავკ.-ალბ. **ჰელ** „id.“; უდ. **იმუხ'** „ყური“ : კავკ.-ალბ. **ი'** „id.“; უდ. **ბურუხ** „მთა“ : კავკ.-ალბ. **ბუ** „id.“; უდ. **არუხ** < ***წარუხ** „ცეცხლი“ : კავკ. ალბ. **წე** „id.“ და ა. შ.

მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსემა „ყური“:

ი' „ყური“, **ი' მუხ** „ყურები“ : უდ. **იმუხ'** „ყური“ (Pl. Tantum), შდრ. ლეზგ. **მაბ, მაფუ** : თაბ. **იბ, -უ** (-ა-), დიუბ. **იჟ** : ად. **მაბურ**, ფიტ. **იბურ**, ბურშ. **იჟურ**, ბურკ. **იჟურ** : რუთ. **უბურ, უბრუ**- IV : არჩ. **ოი**, მრ. **-ომ** IV : კრიწ. **იბრ**, -ვ IV : ბუდ. **იბირ** IV; სხვ. დად.: ხუნძ. **ზინ**

„ყური“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 126; გიგინეიშვილი 1977: 116; თალიბოვი 1980: 274; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1995: 240 (ს.-ლევზ. **ს'ამი*)].

აქ ლეზბიურ ენებში მეტწილად Pl. Tantum სახელები დასტურდება, რაც საერთოლენგუიური მდგომარეობისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. თუ უდიური კავკასიის ალბანური ენის პირდაპირი შთამომავალია, მაშინ უნდა დავუშვათ ამ ლექსემის უცნაური ტრანსფორმაცია: მან ჯერ დაკარგა მრავლობითი რიცხვის გაქცავებული ნიშანი (იხ. კავკ. ალბანური), ხოლო შემდგომ ის ისევ გაჩნდა.

ასევე არადამაჯერებელია დავუშვათ იგივე პროცესი ლექსემაში „სული“, „სამშვინველი“. ამ სახელში გაქცავებული მრავლობითი უნდა აიხსნას უძველესი წარმართული წარმოდგენებით. ძნელი წარმოსადგენია, ეს ლექსემა ამ ფორმით ქრისტიანი უდიების მეტყველებაში გაჩენილიყო.

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

„რთული“ / „მარტივი“ ზედსართავ სახელთა ურთიერთმიმართებისა და ეტიმოლოგიისათვის

ძველ საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა სელის მოპოვება, მისგან ძაფის მიღება, რთვა, ქსოვა და ქსოვილის დამზადება იყო. მეაზრეშუმეობაც საკმაოდ განვითარებული ყოფილა ჩვენს სამშობლოში უხსოვარი დროიდან, როგორც ამას მატერიალური კულტურის საგნები – საოჯახო მოხმარების მრავალფეროვანი ინვენტარი და მდიდარი საყოფაცხოვრებო ლექსიკის არსებობა ცხადყოფს ქართველურ ენებსა და ქართული ენის დიალექტებში.

ვფიქრობთ, ამიტომ საწყისი „რთვა“ საკმაოდ აქტიური ლექსემა უნდა ყოფილიყო დასაბამიდან. სწორედ ამ ძირის შემცველი უნდა იყოს ამჟამად ზედსართავ სახელებად ქცეული მიმდებარე – „რთული“ / „მარტივი“.

„**მა-რტ-ივ-ი**“ ლექსებში რომ **ტ < თ** -საგან, ეს სონანტთა მეზობლად ხშულთა გამკვეთრების მაგალითზე დამაჯერებლად აქვს ახსნილი ქ. ლომთათიძეს სათანადო ადგილას.

ჩვენი აზრით, ამჟამად ანტონიმებად ქცეული ეს ორი სიტყვა უნდა შეიცავდეს ერთსა და იმავე **რთ** ძირს, რომლის ამოსავალი ძაფის დართვა უნდა ყოფილიყო. წარმოსახვითი მნიშვნელობით – დაურთველი ძაფი **მართივი**, ხოლო დართული ძაფი **რთული** უნდა ყოფილიყო.

სწორედ ამ ძირის ნაყარი უნდა იყოს არაერთი სიტყვა ძველსა და თანამედროვე ქართულში.

მოხსენებაში განვიხილავთ აგრეთვე ამ თემასთან დაკავშირებულ განსხვავებულ მოსაზრებებს.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

დისიძე – ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინი ძველ ქართულში

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც, გარდა ლიტერატურული ღირებულებისა, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებია, ინახავს მოკეთეობრივი ნათესაობის აღმნიშვნელ ერთ ძველ ტერმინს, რომლის დაწერილობასაც მისი უმართებულო წაკითხვა გამოუწვევია.

აღნიშნული თხზულების ტექსტი ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერით არის მოღწეული, რომელიც მოსე ჯანაშვილმა აღმოაჩინა და მანვე გამოსცა 1909 წელს. გამოცემულ ტექსტში ჩვენთვის საინტერესო ტერმინი ორჯერ გვხვდება: „რამეთუ მოკლა ლაკლაკმან **დისიძე** თჳსი“; „და ესრეთ მოკლადი **სიძე** თჳსი“. მოხმობილ მაგალითთაგან პირველი ივანე ჯავახიშვილის შემდეგი ინტერპრეტაციის მიზეზი გამხდარა: „სერაპიონის „ცხოვრება“-ში მოთხრობილია, რომ დიდებულმა გიორგი ჩორჩანელმა „ყოველივე, რაცა აქუნდა და მა-

მული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი, დასა მისსა შევედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვსა, რომელთა ეწოდა: სულა, ბეშქენ და ლაკლაკი“ (ც~დ 40). შემდეგ აწერილია, რომ ამ მამულის მემკვიდრეობის უფლების გამო „იქმნა უწყესო ამბოხი“ და ისეთი უსიამოვნობა ჩამოვარდა ნათესავობაში, რომ დიდი ცოდვაც-კი დატრიალდა, „რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისი ძე თვსი“-ო (იქვე 40). ამგვარად ლაკლაკს, რომელსაც გიორგი ჩორჩანელისაგან მემკვიდრეობით სხვათა შორის ზარზმაც ერგო მამულად, დისწულის სისხლი დასდებია ცოდვად“. ტექსტის მიხედვით, ლაკლაკს **დისწული** არ მოუკლავს, მან **დის ქმარი** მოკლა, რომელმაც ცოლის ძმებს გიორგი ჩორჩანელის ნაანდერძევის საკუთარი ცოლისათვის (მათი დისათვის) განაწილება მოსთხოვა: „ნაწილ-უც მამულსა თანა თქუნსა დასა ამას თქუნსა, ვინადთგან თქუნცა დედისა მიერ გაქუს“. სწორედ ის არის თხზულებაში **დისიძე** სახელდებული.

„ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“ მეორედ 1935 წელს დაიბეჭდა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი კეკელიძემ. დასახელებულსა და ყველა მომდევნო გამოცემაში **დისიძე** შერწყმულად დაწერილი დასტურდება. კ. კეკელიძის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რომელიც სულ 74 სიტყვა-ფორმას აერთიანებს, ვკითხულობთ: „დ ი ს ი ძ ე – სიძე დის მხრივ, დის ქმარი“.

ქართულში ნათესაურ დამოკიდებულებათა გამოსახატავად გვხვდება როგორც მარტივი, ასევე შედგენილი ტერმინები. შედგენილ ტერმინთა უმრავლესობას მართულმსაზღვრელიანი კომპოზიციები ქმნის. სწორედ ამ ჯგუფს მიეკუთვნება დისიძე (< დ-ი(ს)-სიძე). მისი პირველი კომპონენტი, ერთმარცვლიანი მსაზღვრელი **და**, შეკვეცილი ფუძით არის წარმოდგენილი, რომელთანაც ნათესაობითის მორფემა (-ი-) ალომორფის სახით დასტურდება (გენეტივის მორფემისეული ს თანხმოვანი დაკარგულია მეორე კომპონენტის (სიძე) ს თანხმოვანთან შეხვედრის გამო).

განსახილველ კომპოზიტიში „სიძე“ სიტყვის მნიშვნელობაა 'ქმარი' (შდრ. ძვ. ქართ. სიძება "შერთვა"). თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი, რომლებმაც საერთოქართველური ფუძეენის დონეზე აღადგინეს *სიძიე არქეტიპი, აღნიშნავენ, რომ ამ ფორმაში *სიი-წარმოშობით პრეფიქსია (შდრ. ქართ. სი-ძე, სი-მამ-რ-ი, სი-დედ-რ-ი

და სხვ.), მაგრამ იგი ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქაში შეეზარდა ძირს და ფუძისეულ მასალად იქნა გააზრებული. სამივე დასახელებულ ლექსემას (სიძე, სიმამრი, სიდედრი) სინქრონულ დონეზე ე. სოსელიაძე ერთი მორფემისაგან შემდგარ ტერმინად აფასებს. მისი თქმით, „სიძეს“ დაშლას თვით ამ ტერმინის სემანტიკა უშლის ხელს.

ძველ ქართულში **დისიძე** დასტურდება ისეთ ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ძეგლებში, როგორიცაა „დავითის და ტირიჭანის მარტვილობა“, „მირიან მეფის მოქცევა“, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, „წმინდა ფებრონიას წამება“ და სხვ. ახალ ქართულში **დისიძე სიძემ** შეცვალა, რომელსაც ფორმა უფრო მარტივი აქვს, ხოლო მნიშვნელობა – უფრო ფართო.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

კვლავ სამოსელთან (ფეხსამოსი, თავსაბურავი...)

დაკავშირებული ტერმინოლოგიის

შესწავლა-სისტემატიზაციისათვის სვანურში

ამჯერად ჩვენი ნაშრომის მიზანია **სამოსელთან** (კერძოდ, *ფეხსამოსი, თავსაბურავი*) დაკავშირებული ტერმინოლოგიის სისტემატიზაცია და ამ ტერმინოლოგიის ეთნო-ლინგვისტური და შეძლებისდაგვარად ეტიმოლოგიური ანალიზი სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის) და ჩოლურული მეტყველებების მონაცემების გათვალისწინებით. საილუსტრაციოდ გამოყენებული დიალექტოლოგიური მასალა, ბუნებრივია, შედარებული იქნება სათანადო ქართულ-ზანურ მასალასთან და ამ შედარება-შეპირისპირების საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: 1. **სხვა ენათაგან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები**, 2. **საერთოქართველური დონის მასალა**, 3. **საკუთრივ სვანური მასალა**. თითოეულ ჯგუფში, საკვანძო სიტყვების გათვალისწინებით, ქვეთავებად იქნება წარმოდგენილი თემატურად სისტემატიზირებული მასალა და ამ მასალის ამსახველი ტექსტები ქართული თარგმანებითურთ:

1. **სამოსლის** (*ფეხსამოსისა და თავსაბურავის*) **აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები** (მაგ.: **ლეღდისგ** (ბზ.)/**ლეღდისგ** (ბქ.)/**ლეღ-დესგ** (ლშხ., ჩოლ.)/**ლეღდესკ/ლეღდეს** (ლნტ.) „ფეხსამოსი (ფეხსაცმელი, წინდა, ჩულქი...); **ლეგემ** (ზს., ქს.) „დასახურავი (ქუდი)“; **ლეჭტენი** (ბზ.)/**ლეჭტენი** (ბქ., ლნტ.)/**ლეჭტონე** (ლშხ., ჩოლ.)/**ლეჭტონე** (ლნტ.)/**ლეჭენი** (ლხმ.) „თავსაბურავი (ზედმიწ. – მოსახვევი/შესახვევი)“...

2. **სამოსლის** (*ფეხსამოსისა და თავსაბურავის*) **სახეობები** (მაგ.: **აზიაეცკრ** (ბქ.)/**აზიაეცკალ** (ჩოლ.) < ქართ.-მეგრ. აზიაეცკ-ი (< რუს. *Азиатский*) „აზიური უქუსლო, წვრილჭკვინტიანი, ფეხზე შემოტკეცილი - ტყავის მაღალყელიანი ჩექმა“; **ზანდულაჲ/ზანდულაჲ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბანდულ-ი 1. „ლანჩადაწული ფეხსაცმელი“ (საბა); „მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირები წვრილი ღვედით აქვს მოწნული“, 2. იმერ. „ნაბდისაგან შეკერილი თბილი ფეხსაცმელი“; **მეში წულა-მესტ/მეში წულჭზრ-მესტ** (ბზ.) < ქართ. მეშის წულა-მესტ-ი „ცხვრის ტყავის ფეხსაცმელი“; **საპომეკრ** (ბქ.)/**ზაპომეკრ** (ლშხ.)/**საპომეკრ/სა-ფომეკარ** (ჩოლ.) < ქართ. საპომეკ-ებ-ი (< რუს. *сапожки*) „დაბალყელიანი, მოკლეყელიანი ფეხსაცმელი“; **კანშიშ ჩაფღარ** (ბქ.) „ტყავის ფეხსაცმელი“...); **ლაჩაქ** (ბზ., ლნტ.)/**ლაჩაქ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/**ლანჩქ** (უშგ.) „მანდილი, თავსაფარი“ < ქართ. ლეჩაქ-ი (< თურქ. *leçek*) „ქართული თავსაბურავი ქალისა, აბრეშუმის წმინდა ბადისებრი ქსოვილი“; **ურიბ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ლეჩაქი, თავსაფარი“ < ქართ. (რაჭ.) ურიბ-ი „ირიბად გადაკეცილი თავსახვევი – მანდილი, ბაღდადი“; **კისმანდ/ვეცმანდ** (ბზ.)/**კისმანდ** (ლშხ.) „თავსაფარი, ხილაბანდი; თავზე წამოსაკრავი გრძელი და ვიწრო ნაჭერი“; **ლაკტცან** (ბზ.)/**ლაკტცანი** (ბქ.)/**ლაკტცან** (ლშხ., ჩოლ.)/**ლაკტცან** (ლნტ.) „თავსაფარი, მანდილი“; **გოპპა/გოპპა** (ბქ.)/**ჯოპპა/ჯოპპა** (ჩბხ.) „ცხვრის ტყავის ქუდი“ < ბალყ. *hokpa* (შეთვისებულია ჩერქეზულის გზით) „საბავშვო ქუდი“...); **კაკულ** (ლშხ.) „მამაკაცის პატარა ზომის ნაბდის ქუდი, რომელსაც კანაფის ძაფის ზონრით იმაგრებდნენ ნიკაპქევმ“ < ქართ. კუნკულა/კუნკულ-ი „ბერების თავსაბურავი – მაღალი ქუდი უკან ჩამოშვებული საბურავით“...

3. **სამოსლის** (*ფეხსამოსისა და თავსაბურავის*) **ნაწილები** (მაგ.: **ლანჩ** (ბზ., ქს.)/**ნალჩ** (ბქ.) < ქართ. ლანჩა „სქელი ტყავი ფეხსაცმლის ძირისა“; **ლოზარ** (ბქ.) „თასმები (ფეხსაცმლისა, ქუდისა...)“;

4. **სამოსლისათვის** (*გეხსამოსისა და თავსაბურავისთვის*) **გამოყენებული მასალა** (მაგ.: **სამეგუ** (ზს.)/**სამოგ** (ლშზ.) „ტყავი (საწულე, სამოგვე)“, შდრ. ქართ. მოგვ-ი „ყელმადალი გეხსაცმელი, – უძირო ჩექმა“, ლეჩხ. სამუგე „გეხსაცმლის ზედაპირი“; **ბაგუტე** (ჩოლ.) „მდარე, უხეში ქსოვილი“...

თემატური თანმიმდევრობით დაჯგუფებული და ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლილ-გაანალიზებული სვანური დიალექტოლოგიური მასალა, რომელიც ეყრდნობა როგორც სვანურ ხალხურ პოეტურ და პროზაულ თხზულებებს, ლექსიკონებს, ასევე ჩვენ მიერ წლების მანძილზე მესტიის, ლენტეხისა და კოდორის ხეობებში სავსე პირობებში მოძიებულ დიდძალ მასალას, გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის საქმეში.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

ზოგი თანდებულშემცველი კომპოზიტის მართლწერა

თანამედროვე ქართულში თანდებულები უშუალოდ დაერთვიან სიტყვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას ან ცალკე იწერებიან. საინტერესოა, რომ ცალკე მდგომი თანდებულები ზოგჯერ მონაწილეობენ ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნაში და ამ შემთხვევაში, ცხადია, ისინი ავტონომიურობას კარგავენ და კომპოზიტის ნაწილად წარმოგვიდგებიან. ამ ეტაპისთვის ჩვენი კვლევის სფეროში შემოდის ისეთ ცალკე მდგომი თანდებულები (ან ზმნისართული წარმოშობის თანდებულები), რომლებიც კომპოზიტის მეორე კომპონენტად გვხვდებიან. მაგალითად, **ბირთვგარეშე**, **ბირჟისგარეშე**, **ეკვგარეშე** (მაგრამ ეკვს გარეშე), **კანონგარეშე**; **წყალგალმა**; **წელზევით**; **მთვარისირგვლივი**; **მხარმარცხნივ**, **ხელმარცხნივ**; **ბუნებისმიერი**, **ენისწვერისმიერი**, **ძალისმიერი**; **წელქვევით**; **ბუჩქვეშ**, **თოვლქვეშ**, **რტოებქვეშ**, **ფრთებქვეშ**; **კბილთაშუა**, **რიგებშუა**, **ტექსტშუა**,

ხმელთაშუა; თვალწინ (შდრ., თვალის წინ), **ცხვირწინ** (შდრ., ცხვირის წინ); **საზღვარგარეთ, ქალაქგარეთ** და სხვ. სხვა კონფერენციის ფარგლებში ჩვენ უკვე განვიხილეთ ერთი ასეთი, კერძოდ, „შორის“ თანდებულის მონაწილეობით შექმნილ კომპოზიტთა მართლწერა.

თანდებულშემცველ ფორმათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცალკე მდგომი თანდებულის კომპოზიტის შემადგენელ ელემენტად ქცევისას პირველი კომპონენტი უმეტესად ვერ ინარჩუნებს ბრუნვის ნიშანს, თუმცა დასტურდება ბრუნვის ნიშნიანი ვარიანტებიც. ერთი მხრივ გვხვდება **ბუნებისმიერი, თესვისწინა და** მეორე მხრივ, **ეკვგარეშე, რტოებქვეშ**.

მოხსენებაში შესაბამისი საილუსტრაციო მასალის დემონსტრირების ფონზე განვიხილავთ ამგვარ კომპოზიტურ ელემენტთა მართლწერის საკითხებს.

რო ს ტ ო მ ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე

გულ-ი სიტყვის შემცველი კომპოზიტები ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტსა და ქართულში

ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში შვიდ ათეულზე მეტი ისეთი კომპოზიტი გამოიყოფა, რომელთა პირველ კომპონენტს „გულის“ აღმნიშვნელი **დუოგ** სახელი წარმოადგენს, მეორე სახელად გამოყენებულია ძირითადად არსებითი, ზედსართავი ან ნაზმნარი სახელები, ინფინიტივები, მათ შორის არის ისეთი კომპოზიტები, რომელთა შემადგენლები იდენტურია ქართულ **გულ-** ფუძის შემცველ კომპოზიტებთან.

გარჩეულია რამდენიმე ჯგუფი:

ა) ქისტურსა და ქართულში სტრუქტურითა და სემანტიკით იდენტურია კომპოზიტები:

დეგ‘აფ (< დეგან, ნათ. ბრ. + ‘აფ „კოვზი“), შდრ. ქართ. „გულისკოვზი“

დეგლერგ (< დეგან + ლერგ „ყური“), შდრ., ქართ. „გულისყური“
დეგლუოზ (< დეგან + ლუოზ „სიხარული“), შდრ. ქართ. „გულის
სიხარული“

დეგოუზუო (< დეგან + დოუზუო „სითბო“, შდრ. დოუზა „თბი-
ლი“), შდრ. ქართ. „გულის სითბო“

ბ) ქისტურში კომპოზიტის პირველი კომპონენტი სახ. ბრუნვა-
ში დგას, ქართულში – ფუძის სახით არის წარმოდგენილი:

დუოგ‘ურჯ(ი) – გულშავი

დუოგშოლ(ი) – გულცივი

დუოგწენ(ი) „გულწმინდა“ – გულწრფელი...

გ) ჩეჩნურში „გულ-ი“ **დუოგ** სახელობით ბრუნვაშია, ქარ-
თულში – ნათესაობითში:

დუოგდაკკა (დუოგ + დ-აკკა „წართმევა, აყრა“), შდრ. ქართ.
„გულის აყრა“

დუოგდასთა (დუოგ + დ-ასთა „გახსნა“), შდრ. ქართ. „გულის
გახსნა“

დუოგკჷდ(ა) (< დუოგ + კჷდ(ა) „რბილი“), შდრ. ქართ. „გულჩვი-
ლი“ და მისთ.

მსგავსი ფორმებისაგან ნაწარმოებია:

დუოგდეკკინ(ა) „გულაყრილი, გულაცრუებული“

დუოგდესსთინ(ა) „გულგახსნილი, გულწრფელი“...

საილუსტრაციო მაგალითებში „დუოგ“ სიტყვის მომდევნო **დ**
ბგერა გრ. კლასის ნიშანია მეორე ფუძის პრეფიქსად, გამოხატავს
დუოგ სიტყვის გრ. კლასს.

ანალოგიურ ფორმებში მეორე კომპონენტად უმეტესწილად
ინფინიტივებია.

დ) მცირერიცხოვანია კომპოზიტები, როგორიცაა:

ქართ. „გულ-ღვიძლი“, ქისტური „დუოგ-ფეხქ“ (ჩეჩნ. დუოგ-
ფახ „გულ-ფილტვი“) და მისთ.

ი-ზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელთა მართლწერა

თანამედროვე ქართული ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით, **ი-ფუძიანი საზოგადო სახელები** უკვეცეულ სახელთა რიგს ეკუთვნის, თუმცა ამ ტიპის სახელების მიმართ სხვა მიდგომას აჩვენებს ქართული ენის ისტორია, კერძოდ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული: იმის გამო, რომ სახელობითი ბრუნვის ნიშანი ქართულში ი სუფიქსია, აღარ შემოგვრჩა ი ხმოვანზე დაბოლოებული ქართული ფუძეები; ფუძის ბოლო ხმოვანი სახელობითის ნიშნად აღიქმებოდა სხვადასხვა ენიდან შემოსულ უცხო სიტყვებშიც, რომლებიც ასევე თანხმოვანფუძიან სახელთა წყებაში მოექცნენ, მაგალითად, *მონასტერი*, *პარასკევი* (ბერძნ.), *ყადი*, *მუშტარი* (არაბ.), *აბაზი*, *ელჩი*, *გემი*, *ყუთი* (თურქ.) და ზოგი სხვ. (ა. შანიძე, ბ. გიგინეიშვილი).

ფუძის -ი ბოლო ხმოვნის სახელობითის ნიშნად გააზრებისა და მისი ჩამოშორების ტენდენცია, ჩვენი აზრით, დღემდე გრძელდება. დაწესებულ ორთოგრაფიულ ნორმას ი-ფუძიანი საზოგადო სახელების მხოლოდ ნაწილი მისდევს, კერძოდ ის სახელები, რომელთა ფუძის ბოლო ხმოვნის წინ ხმოვანია (ნიმუში 1), ნაწილი კი, რომელთა ფუძის ბოლო ხმოვნის წინ თანხმოვანია, კარგავს ფუძის ბოლო ი ხმოვანს და თანხმოვანფუძიან სახელთა რიგში გადადის (ნიმუში 2):

ნიმუში 1		ნიმუში 2
სახ.	ტრამვაი	ტაქსი//ტაქს-ი
მოთხ.	ტრამვაი-მ	ტაქსი-მ//ტაქს-მა
მიც.	ტრამვაი-ს	ტაქსი-ს// ტაქს-ს
ნათ.	ტრამვაი-ს	ტაქსი-ს//ტაქს-ის
მოქმ.	ტრამვაი-თ	ტაქსი-თ//ტაქს-ით
ვით.	ტრამვაი-დ	ტაქსი-დ//ტაქს-ად
წოდ.	ტრამვაი	ტაქსი//ტაქს-ო

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ი-ზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელთა უმეტესობა უცხო წარმომავლობისაა, შესაბამისად, უპირველესად, დასადგენია მათი ქართულში გადმოტანის სისწორე, მაგალითად, *ესე* თუ *ესეი*? *ესე* ფრანგულის მიხედვითაა გადმოღებული, *ესეი* – ინგლისურის; ან კიდევ, რამდენად ეკუთვნის ამ რიგის სახელებს სპორტის სახეობის სახელწოდება *კეგ-ლი*, როცა ის მომდინარეობს გერმანული სიტყვისგან Kegel. ი-ზე ფუძედაბოლოებული საზოგადო სახელები ქართულ ლექსიკონებში არაერთგვაროვნადაა ასახული.

მასალებზე დაკვირვება გვავარაუდებინებს, რომ II ჯგუფის (*ტაქსის* ტიპის) სახელებში ფუძისეული ბოლო ხმოვნის შენარჩუნება, ძირითადად, ნორმის დამცველებზეა დამოკიდებული და ისეთი ფორმები, როგორებიცაა: *ტაქსიში*, *ჟალუზიშ*, *პონიზე*, *შასიზე*, *ვისკიში* და სხვ. ხელოვნურად ნარჩუნდება ენაში, ინტერნეტწყაროებსა და მედიასაშუალებებში კი ხშირად იჩენს თავს ნორმისგან განსხვავებული ვარიანტები.

ფუძისეული ი უკვე არსებითად მოკვეცილი აქვს უფრო ხშირი გამოყენების სიტყვებს, ახალშემოსულ სიტყვებში კი ჯერჯერობით ნარჩუნდება, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ქართული ენის ზოგად ბუნებასა და სხვადასხვა დროის მაგალითებს, მეორე ჯგუფის სახელებში ფუძის ბოლო ხმოვნის შენარჩუნების მოთხოვნას საფუძველი არ აქვს. აქ გასათვალისწინებელია ეს ფაქტიც: მიუხედავად იმისა, რომ ტაქსი უკვეცელ სახელად იყო შესული ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში (1968 წ.), ტაქსის უკვეცელ სახელად დამკვიდრებას, როგორც ჩანს, ყველა არ იზიარებდა: „ტაქსი ერთბაშად მოექცა ზოგად სახელთა ყალიბში და ბოლოკიდური ი თავიდანვე გააზრიანდა სახელობითი ბრუნვის ნიშნად, ამიტომ ქირობენ *ტაქსს* (და არა „ტაქსის“), სხდებიან *ტაქსში* (და არა „ტაქსიში“), – წერდა ბიძინა ფოჩხუა 1974 წელს გამოცემულ „ქართული ენის ლექსიკოლოგიაში“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, ი-ზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელთა მართლწერისას უნდა მივიღოთ შემდეგი წესები:

1. **ი-ზე ფუძედაბოლოებული ის საზოგადო სახელები, რომელთა ფუძის ბოლო ხმოვნის წინ ხმოვანია**, უკვეცელნი არიან მხოლოდობითში, მრავლობითში კი (თუკი ეწარმოებათ) – კვეცადნი: **დი-**

ჯეი/დიჯეი-მ/დიჯე-ებ-ი, პლებეი/პლებეი-მ/პლებე-ებ-ი, ჟოკეი/ჟოკეი-მ/ჟოკე-ებ-ი, სამურაი/სამურაი-მ//სამურა-ებ-ი, ტრამვაი/ტრამვაი-მ/ტრამვა-ები-ი, ჩაი/ჩაი-მ, ჰოკეი/ჰოკეი-მ და სხვ.

შენიშვნა: განსხვავებულადაა განსახილველი სიტყვა **კოლიზეი**, რომელშიც ბოლო ი ხმოვანი ფუძისეული არ არის [იტალ. Coliseo ლათ. collosseus-იდან კოლოსალური, უზარმაზარი]. სიტყვა **კოლიზეი**, რომელიც რუსული დაბოლოებითაა ქართულში შემოსული (Колизей), უნდა ჩანაცვლდეს ერთადერთი სწორი ფორმით –**კოლიზეუმით**.

2. ი-ზე ფუძედაბოლოებული ის საზოგადო სახელები, რომელთა ფუძის ბოლო ხმოვნის წინ თანხმოვანია, თანხმოვანფუძიან სახელთა რიგს მიჰყვებიან: ტაქს-მა, პენალტ-მა, პონ-მა, ჟალუზ-მა, ჟიურ-მა და სხვ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის სხდომაზე ამ საკითხის განხილვისას გამოითქვა მოსაზრება ორთოგრაფიულ ნორმაში პარალელური ფორმების (ტაქსი-მ//ტაქს-მა და მისთ.) შეტანის შესახებ.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

**ძვ. ქართ. ს ი ტ ყ უ ი ს რაობისა და რაგვარობის
სულხან-საბასეული განმარტებისთვის**

სიტყვის სემანტიკის, ანუ **სიტყვის „სულის“** კვლევის მეოხებით, სარწმუნოდ წარმოჩნდება მისი თავდაპირველი სიტყვათშემოქმედების მოტივი და სემანტიკური ცვალებადობის განმსაზღვრელი ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური წანამდგვრები.

ყოველივე ამას გვკარნახობს და შემოგვღალადებს, ერთი მხრივ, ქართული კაცობრივი სიტყვათშემოქმედებისა და საკუთრივ სიტყვის **სემანტიკური** ცვლა-განვითარების ის სარწმუნო ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომელთა მოძიება-მოპოვება სწორედ

სიტყვის კვლევა-ძიების მეშვეობით წარმოჩნდება; მეორე მხრივ კი, საწუგემოდ გვიდასტურებს ეკლესიის წმიდა მამათაგან ბომეზული დოგმატური მოძღვრება **სიტყვა-ლოგოსის** (ბერძნ. **ლოგოსი** „სიტყვა; ძე ღმრთისა იესო ქრისტი“) და **ადამიანის პირველხატის** ურთირ-თმიმართების შესახებ.

„ლექსიკონ ქართულში“, **სიტყუის** სალექსიკონო ბუდეში, სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს სიტყვის **რაობას**, სიტყვის **გამოთქმის რაგვარობას** და **სიტყვიერი გადმოცემის სტილს**. **სიტყუ-ის** სალექსიკონო ბუდის დასაწყისშივე, ქართველი ლექსიკოგრაფი საგანგებოდ იმოწმებს პირველი თავის პირველ მუხლს წმიდა იოანეს სახარებიდან: „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (იოანე 1, 1).

სიტყუის სალექსიკონო ბუდეში „ერთ სიტყვას“ სულხან-საბა „მრავალ სიტყვასთან“ აპირისპირებს: „ხოლო მრავალთა სიტყვათა (ეწოდების) ლაპარაკი“ (**სიტყუის** ქვეშ).

„მრავალი სიტყვით“ იგულისხმება სიტყვათა გარკვეული მოქმედება – **შესიტყვება** და **სიტყვა-მიგება**. **ლაპარაკის** გარდა, განმარტებულია სიტყვა-მიგების გამომხატველი ათეულზე მეტი ლექსიკური ერთეული: **საუბარი, აღერსი, პასუხი, ჩურჩული, ცუნდრუკი, ჩურჩნა, ბაქი, ტიტინი, ტარტარი, ტარატურა, თქმა** (ეტყოდა, ჰრქვა), **ასწავა**, ასევე: **სწავლა, წურთა / წვრთა, მცნება** და **იგავი**.

მათგან **ასწავა** ერთადერთია, რომლის განმარტებაში, რაობასთან ერთად, საგანგებოდ ფიქსირდება **სიტყვის** დანიშნულება: „**ასწავა** – რა სიტყვითა კეთილთა გზათა აჩვენებდეს“.

რამდენადაც ქართველი ლექსიკოგრაფისთვის საკუთრივ სიტყვის ბუნებითი თვისება სიბრძნეა („თქმულია სიბრძნითა თვისითა“), **კეთილში, კეთილსა ზედა დამკვიდრებაში** – იგი სიბრძნესთან ზიარებას გულისხმობს და, მსგავსად **ასწავისა**, წარმოდგენილი სალექსიკონო განმარტებითი კორპუსით, გვმოდვრავს: სიტყვით ისწავლება, მოიწიშნება, მიიღება და მკვიდრდება – „კეთილი“.

სულხან-საბა სიტყვის გამოთქმის რაგვარობას კიდევ ერთი მახასიათებლით წარმოაჩენს: იგი ერთმანეთისგან განასხვავებს **ხმოვან სიტყვას** და **შინაგან მდებარე სიტყვას**: „განიყოფების სიტყვიერებად სულისაჲ შინაგან მდებარისა სიტყვისა და კმოვანისა მიმართ“.

წმიდა იოანე დამასკელის „გარდამოცემაზე“ დაყრდნობით, ქართველი ლექსოგრაფი საფუძვლიანად აანალიზებს ორივე სახეობის სიტყვისგებას. **ხმოვანი სიტყვა** სულხან-საბას მიერ „წარმოჩენილ სიტყვადაც“ განისაზღვრება: „წარმოჩენილსა სიტყვასა კმასა შინა სიტყვის-გებათა აქვს მოქმედებაჲ, რომელ არს ენისა და პირის მიერ წარმოჩენილი სიტყვაჲ, რომლისათვის **წარმოჩენილად** სახელ-იდების“: „ლექსიკონ ქართულში“ **შინაგან მდებარე სიტყვა** ასევე იწოდება – **შიგანმდებარე სიტყვად, განგულისიტყვად, შეგულისიტყვად**.

მოხსენებაში საგანგებოდ განიხილება ამოსავალი რჯულისმიერი სემანტიკური ფუნქციონირება ძვ. ქართ. სინონიმური წყვილისა:

ერთი მხრივ – **წურთა / წერთა** „სწავლა; წვრთნა; ტანჯვა; დასჯა“, **მწურთელი / მწერთელი** „მასწავლებელი“, (მო)-**წურთილი / (მო)წერთილი** „დასჯილი; გაწვრთნილი; გა-მოცდილი“;

მეორე მხრივ – **სწავება** „სწავლება; სწავლა“, **სწავლა** „დასჯა; სწავლა; წვრთნა; მოძღვრება; მწიგნობრობა“, **სწავლულება** „სწავლა; მოძღვრება“, **სწავლული** „განსწავლული; მცოდნე“, **სწავლულ-მოყუარე** „ფილოსოფოსი“.

ნ ა ტ ჲ შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

„სვანეთში მუშაობის შესახებ“ – აკაკი შანიძის საექსპედიციო ჩანაწერები

(XX საუკუნის 20-იანი წლების საარქივო მასალების მიხედვით)

1920 წელს სვანეთში პირველი ექსპედიციის მიზანი სვანური ენის შესწავლა, მასალების შეკრება და სვანურის გრამატიკული აგებულების გამოკვლევა იყო „ამ მიზნისთვის პირველად ერთი რომელიმე კილო უნდა ამეღო და ჩემი გამოკვლევის საფუძვლად უნდა

დამედო. არჩეული მქონდა ჩოლურული, მაგრამ ადგილობრივ მუშაობამ დამარწმუნა, რომ გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, რომ ჩემი სვანური შტუდიების საფუძვლად, არა ჩოლურული, არამედ ლაშხური დამედო...“.

ადგილობრივ მუშაობაში ის ათი სამუშაო დღე იგულისხმება (8/VII-19/VII/1920 წ.), რომელიც ჩოლურში გაუტარებია, სანამ ლაშხეთში ავიდოდა. ეს ათი დღე საკმაოდ ნაყოფიერი და შრომატევადი აღმოჩნდა, რასაც მოწმობს საარქივო მასალებში დაცული ხელნაწერები.

ხსენებული ექსპედიციის შესახებ ცნობილი ხდება საანგარიშო მოხსენებიდან, რომელიც აკაკი შანიძემ „ტფილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს“ წარუდგინა 1920 წელს. ასევე, პირადი დღიურებიდან, რომელსაც ის აწარმოებდა ექსპედიციების დროს.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოს ეროვნულ არქივში, აკაკი შანიძის პირად ფონდში დაცულ სამივლინებო მასალებზე, რომელშიც აღწერილია ჩოლურში (XX საუკუნის 20-ანი წლების) მუშაობის ეპიზოდები, სადაც არაერთი ცნობილი პირია მოხსენიებული (ნ. მარი, ა. გრენი, არს. ონიანი, მ. დადეშქელიანი, ივ. ნიჟარაძე, ალი გარდაფხაძე და ა. შ.) და სრულყოფილადაა აღწერილია ის მძიმე ყოფა და პირობები, რაც იმ დროის სვანეთისათვის იყო დამახასიათებელი.

კვლევისას აღმოჩნდა, რომ ამ პირად დღიურებთან ერთად, დაცულია ჩოლურში ჩაწერილი რამდენიმე ხელნაწერი ტექსტიც, რომელთაგან ნაწილი აკაკი შანიძის ჩაწერილია, ნაწილი კი ჩოლურელი მუკბანიანისა, რომელიც სვანურის მასწავლებლად ჰყავდა მეცნიერს ქირით აყვანილი. ხსენებული ხელნაწერები საინტერესოა როგორც ფონეტიკური, ისე ონომასტიკური თვალსაზრისითაც.

მეგრული გვალო სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის

მეგრულში დასტურდება ლექსიკური ერთეული **გვალო** (გვ-ალ-ო) || მარტვ. **გვამო** (გვ-ამ-ო) ზმნზ. „მთლად, სულ (მთელის მნიშვნელობით)“. **გეეყალგ გვალო**: ი. ყიფშ. გვ. 37. – გადაირია მთლად. **ღონთქ გვალო გვმაყორუ**: ქხს., 1, გვ. 73 – ღმერთი მთლად გამიწყრა. **ამდლა გვალო შხვანერ დლა რე, გვალო**: ქხს., 1, გვ. 91 – დღეს სულ სხვანაირი დღეა, სულ. **გვამო ღორონთი გოყორუ**: ქხს., 1, გვ. 209 – მთლად ღმერთი გასწყრომია (ო. ქაჯაია).

ეს სიტყვა გვხვდება სხვა ფორმითაც: **გვალას(გ)** (გვ-ალ-ა-სგ). მთლად, მთლიანად. **გვალას გოხვეათგ დო გიშეებლენქია**: ი. ყიფშ. გვ. 49. – მთლად გაჰკრი და გამოვალო. **გვალას მუშენი გაგაჯოგო**: ქხს., 1, გვ. 41 – მთლად რად შეგძულდი (ო. ქაჯაია, ა. ქობალია).

გამოვლინდა ეს ვარიანტიც: **გუალე** (გუ-ალ-ე) || მარტვ. **გუაე** (გუ-ა-ე) „მთლად, მთლიანად, საესებით“. **გვალე მუში ჯიმას გუ** – მთლად თავის მძას ჰგავს (ო. ქაჯაია).

გვალო და მისი პარალელური ფორმები, გარდა ლექსიკონებში გამოვლენილი მნიშვნელობებისა, აღნიშნავს: ა) ძალიან. **ბაღანა გვალო ჯგირო ჰარგნსგ** „ბავშვი ძალიან კარგად წერს“; ბ) ზუსტად, დანამდვილებით. **გვალო სქან(ი) კაბაჯგუა მოგო იბიდეინი** „ზუსტად შენი კაბისნაირი მინდა (რომ) ვიყიდო“; გვალო მა გიწინი, თი კოჩიე თენა „ზუსტად, დანამდვილებით მე რომ გითხარი, ის კაცი არის ეს“.

დასახელებულ ფუძეებში: **გვალო** (გვ-ალ-ო) || **გვამო** (გვ-ამ-ო), **გვალას(გ)** (გვ-ალ-ა-სგ), **გუალე** (გუ-ალ-ე) || **გუაე** (გუ-ა-ე) გამოიყოფა ძირი **გვ-** || **გუ-**; **-ალ** || **-ამ** (ლ გადასულია დ-ში || **-ა** (ლ- დაკარგულია) დეტერმინანტი სუფიქსი უნდა იყოს; **გვალო** (გვ-ალ-ო) ვითარებითი ბრუნვის ფორმაა, **-ო** – ბრუნვის ნიშანი, გვხვდება მიცემითი ბრუნვის ფორმითაც: **გვალას(გ)** (გვ-ალ-ა-ს(გ), ს(გ) ნიშანია (შდრ. მეგრ. **ჯგრო** || **ჯგირას** „კარგად“, **მანგარო** || **მანგარას** „ძალიან, მაგრად“).

გვ- || **გუ-** ძირისათვის შეიძლება აღდგეს ***რ** თანხმოვანი (***რგვ-** || ***რგუ-**), შესაბამისად, მოცემული ფორმებისათვის ამოსავალი უნდა იყოს: ***რგვალო** || ***რგვამო**, ***რგვალას(გ)**, ***რგუალე**, ***რგუაე** და პირველადი მნიშვნელობად შესაძლოა მივიჩნიოთ ***მრგვალად**. ლექსი-

კონებში რეალურადაც დადასტურდა **რგვალ** – მრგვალად, სრულად, მთლიანად, **რგვალას** – მთლიანად, მრგვალად, ქობალია, **რგვალი** – მრგვალი; რგოლი; გოგორა (პური), **რგვალ-რგვალ**-ი „მრგვალ-მრგვალი“ (ო. ქაჯაია, ა. ქობალია), **რგვალ**-რგვალეზა „დამრგვალეზა“, არგვალენს „ამრგვალენს“ (ო. ქაჯაია, ა. ქობალია),

გგ || **გუ** (***რგგ** || ***რგუ**–) შესაძლოა დავუკავშიროთ ქართ. **რგუ**–: (**რგუ**-ალ-ი (ძვ. ქართ.) || **რგგ**– (მ-**რგგ**-ალ-ი (ახ. ქართ.) ძირებს. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ფუძე მიჩნეულია მეგრ. **რგგ**– ძირის შესატყვისად, რომელიც გამოვლენილია მო-**რგგ**-ი „დაფის გორგალი, მრგვალი; ეტლის კოჭი“ სიტყვაში (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი). ამ მოწინააღმდეგეებს შეიძლება დაემატოს წარმოდგენილი საანალიზო ფორმები.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

ერთი რთული ადგილის ზმნისართის შესახებ ქართველურ და ჩერქეზულ ენებში

აგებულებით რთული ადგილის ზმნისართი **აქა-იქ** განიმარტება როგორც „ალაგ-ალაგ, სხვადასხვა ადგილას“); ამ ზმნისართის სინონიმებია **ალაგ-ალაგ** და **ადგილ-ადგილ**. **აქა-იქ** ზმნისართის პირველი კომპონენტი **აქა** პირველ პირთან ახლო ადგილს აღნიშნავს, მეორე კომპონენტი **იქ** – მოშორებით / შორს მდებარე ადგილს.

ქართულისებური სტრუქტურისაა სათანადო ზმნისართი მეგრულ-ლაზურში: მეგრ. **ამარ-ემერი**, ლაზ. **აქოლე-ექოლე**. სვანური სხვაგვარ ვითარებას წარმოგვიდგენს: სვან. **ერეგ-აზეგ** „აქა-იქ“, წედმიწ. „იქ-აქ“.

ჩერქეზულ ენათაგან ადიღურში ქართულისაგან ცოტა განსხვავებული აგებულების ზმნისართი გვაქვს: ადიღ. **მეღგჳ-მოღგჳ** „აქა-იქ“, ზედმიწ. „აქ-მანდ“ (შდრ. **მგ**-რ „ეს“, **მო**-რ „ეგ“). ყაბარდოული ენა რედუპლიკაციას მიმართავს: ყაბ. **ს'გჳჳ-ს'გჳჳჳჳ** „აქა იქ“, ზედმიწ. „ადგილ-ადგილებში“ (შდრ. **ს'გჳჳ** „ადგილი“ და ქართ. **ადგილ-ადგილ**).

**სამყარო – კონტრასტი და ოპოზიციური წყვილი წითელი და
იისფერი შოთა ნიშნიანიძის ამავე სახელწოდების პოემაში**

შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში „წითელი და იის-ფერი“ (პირველად დაიბეჭდა პოეტის საიუბილეო კრებულში „შოთა ნიშნიანიძე-90“, თბ., 2019) აზროვნებისა და ყოფიერების ორი სიმბოლური პოლუსია. პოეტი ამ ოპოზიციური წყვილის სივრცეში წარმოდგენილი სოციალურ-ეროვნული, ეთიკური და მსოფლმხედველობრივი ხასიათის პრობლემებით აღწერს იმ დაპირისპირებულობას, შინაგან წინააღმდეგობებსა თუ სულაც შეუთავსებლობას, რომლითაც გაჯერებულია რეალობა, გარემომცველი სინამდვილე და ასე, ამ ორი ფერის პირობებში, იხატება წითელისა და იისფერის ფონზე, პოემაში სამყარო – კონტრასტი.

პოემის მხატვრული სივრცე სამყაროს მთავარი ოპოზიციური წყვილის სიკვდილისა და სიცოცხლის, მათი გზაგასაყარის მიღმა გაწვნილი. ამ მრავალფენოვანი დაპირისპირებულობის საყრდენია დრო-სივრცული ანტონიმების შესაბამისი წყვილიც **აქ** და **იქ**:

„აქ დასასრულია, იქ დასაწყისი.

აქ შურია და სიავე... ომები და სწეულებანი,

იქ კი ანგელოსთა გალობა, სიყვარული და ნეტარება“. (გვ. 105)

დაპირისპირებათა აღწერა-ანალიზი პოემაში ომის საფუძველზეა აგებული, რამდენადაც პოეტის შეფასებით:

„ომი ისტორიის წყალგამყოფია,

დიდი ნიშანსვეტია კაცთა ცხოვრებაში.

ომი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნა და ბარიერია.

– ეს იყო ომამდე...

– ეს იყო ომის დროს...

– ეს იყო ომის შემდეგ...

ასე წერენ ისტორიკოსები


და ასე ამბობენ უბრალო ადამიანები,

როცა წარსულზე მოგვითხრობენ“. (გვ. 88)

პოეტიც ომის ამ კონტურებში მოგვითხრობს ერთი პიროვნების ისტორიას მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან. ეს არის ისტორია ბიჭზე, რომლის „საყვარელი გმირი პავლიკ მოროზოვი იყო / და არაფერი იცოდა პაატა სააკაძეზე“ (გვ. 90). ეს საზოგადო ამბებში ჩახლართული პიროვნული ისტორია (უფრო კი ტრაგედია) კონტრასტების მთელი წყება; ამბების ნაკადში ოპოზიციური წყვილებია:

მშობლები და დედობილ-მამობილი,
ობოლი ბიჭი და დედიკოს ბიჭი,
გაბუტული შვილობილი და პატარა დიქტატორი,
გიგანტური სახელმწიფო და პატარა ბიჭი,
რჩეულთა კასტა – ქურდები და არაქურდები ანუ არიფები,
ქურდების მეფე და პოეტების მეფე და სხვ.

პოემაში აღწერილ ამგვარ მრავალრიცხოვან წყვილედთაგან მომეტებულად საინტერესოა საზოგადოებრივი ყოფისა და საზოგადოებრივი აზრის რთული ოპოზიციური წყვილი:



„– საქართველო პოეტების ქვეყანააო –
ხშირად უთქვამს ქართულის მასწავლებელს.

...დიახ, საქართველო პოეზიის ქვეყანაა –
ამას ხშირად ამბობდა რადიოც.

მაგრამ ქურდების ქვეყანაო – არავის წამოცდენია“. (გვ. 93).

ბიჭის ისტორიაში კი უმთავრესია მისი ნაამბობი, უფრო სწორად, ამბები გალაკტიონზე, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ჩვეულებრივი თუ სკანდალური ამბები...

პოემაში კონტრასტის ორი ძირითადი ფლანგია:

1) „**წითელი ისტორიის გზა**.

წითელი ტერორი,
რეპრესიები,

დახვრეტები,
გლეხობის ამოწყვეტა,
ერის სულისა და ტვინის გასრესა“, (გვ. 94)

2) „პოეზიის იისფერი ნათელის:

იისფერის ... ლურჯ-იისფერის...

ეს ფერი მარადისობის ფერია...

– იისფერი და არამიწიერად სურნელოვანი“. (გვ. 101-102).

მოხსენებაში მსჯელობის ძირითადი საგანია კონტრასტის
ლინგვოპოეტური სურათი და მისი წარმოდგენის ენობრივი სამუა-
ლებანი.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ხმაბაძვითი სიტყვები რევაზ ინანიშვილი მოთხრობებში

ხმაბაძვა ადამიანის მეტყველებაში არის ბუნებაში არსებული
სულიერისა და უსულო საგნების მოქმედებით გამოცემული ხმის
შესატყვისი სიტყვიერი ბგერითი ფორმა, რომელიც მიღებულია ამ
ბგერითი მოვლენის მიახლოებითი გამოსახვის მიზნით. იგი, რო-
გორც ბგერითი მოვლენის გადმომცემი, გამოხატავს ხმის რიტმს,
ტონს, მოქმედების ტემპს და სხვ. ხმაბაძვითი სიტყვებისაგან იწარ-
მოება სრული მნიშვნელობის ფორმაცვალებადი სიტყვები: არსები-
თი სახელები, ფუძეგაორკეცებული სახელის მქონე რთული სიტყვე-
ბი, განსაკუთრებით კი ზმნები. მწერლის ენაში ხმაბაძვითი სიტყვა
მხატვრულ-სტილისტური გამოსახვის მიზანს ემსახურება (ო. გაჩე-
ჩილაძე). იგი ჩვეულებრივ განკერძოებული სიტყვაა, ხშირად დას-
ტურდება დიალოგებში, გვხვდება სიტყვა-წინადადების სახითაც.
ამასთან ერთად მათთვის დამახასიათებელია გამეორებები (რ. შამე-
ლაშვილი). იმისდა მიხედვით, ვინ ან რა გამოსცემს ხმებს, რომელთა
გამოხატვა სიტყვებით, სამეტყველო ბგერებით შეიძლება, ჩამოყა-

ლიბდა რამდენიმე ზოგადი ჯგუფი: ხმა (ბგერა, ხმაური), რომელსაც გამოსცემს 1. ადამიანი, 2. ცხოველი და ფრინველი, 3. არაცოცხალი ბუნება (გ. კვარაცხელია).

რევაზ ინანიშვილის თხრობას, გარდა მხედველობითი ხატებისა, ახასიათებს მძაფრი სმენითი ეფექტები, თუ შეიძლება ასე ეწოდოს ამ ხმაბაძვით სიტყვებს, რომლებიც სიტუაციის შესაფერისად თითქოს ხმას გამოსცემენ... თვით მწერალი ცდილობს, რომ ამ ხმამ სმენითი განცდა დაბადოს ადრესატში (ე. კოშორიძე). გამოცემული ხმის სხვადასხვა ინტონაციის მიხედვით მწერალი იყენებს სხვადასხვა სასვენ ნიშნებს: იქნება ეს ძახილის ნიშანი, მძიმე, ტირე, თუ მრავალწერტილი (შდრ. გ. გოგოლაშვილი).

ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ სმენითი იმიტაციური სიტყვები რ. ინანიშვილის პროზაში. არ ვეხებით მხოლოდ ჩიტებისა და მათი ხმიანობის ამსახველ ლექსიკას (ნ. ჭოხონელიძე).

1. არაცოცხალი ბუნება: **ქვა – ბუხ:** – ბუხ! – მომესმა რაღაც ბრაგვანი გარედან. (ბიჭებს) მათ ის ქვა ჩამოეგდოთ, რომელიც კედელზე იყო გადმოკიდებული და გამვლელ-გამოვლელი შიშით შეჰყურებდა.

წყალი – დგლუმგ: (ლიმ) ...დაყვირებაც ვერ მოასწრო, მიშველეთო, – დგლუმგ! – შიგ წყალში. აგრეთვე: **ბაახ; ბრაახ; ლაწ; რაკვ; ტკავ; ტყავ; კავ; ტკუპ; შლაპ; ჭაახ; ჭლაპ.**

ტექსტის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ერთი და იგივე, ან სხვადასხვა წარმომავლობის ხმამაბაძვითი სიტყვები წინადადებაში შეიძლება ორჯერ, სამჯერ და უფრო მეტჯერაც განმეორდეს.მაგ.: **თოფი – ბაახ! ბაახ!:** ამ სოფლელი კაცები ყველანი მონადირეები არიან. წავლენ უთენია თოვლით დაფარული მწვერვალებისაკენ, წაიღებენ გრძელ, გრძელლულიან თოფებს, ჩაუსაფრდებიან ჯიხვებს და – ბაახ! ბაახ!.. – შემოიდევენ კისერზე საბრალობლად თავგადაგდებულ ჯიხვს და წამოვლენ სიმღერით. – **ბახ! ბახ! ბახ!** – ესროდა პატარაც. აგრეთვე:– **ბუმ! ბუმ! ბუმ!**; –**ტუკ! ტუკ! ტუკ!**; **ტკავ! ტკავ!;** – **ნავ! ნავ! ნავ!**; **ზუ-ზუ-ზუ !; ჩხაპ-ჩხაპ-ჩხაპ-ჩხაპ.**

პარალელურად დასტურდება ხმოვანშეცვლილი სიტყვებიც: **თოვლის გუნდა-ბაახ! ბუუხ!:** წამოვიდნენ თოვლის უზარმაზარი

გუნდები მწვერვალებიდან გრიალით, უფრო გაიზარდნენ, გაიზარდნენ და მერე ზედ გზებზე – ბაახ! ბუუხ! – სკდებოდნენ ბომბები-ვით. აგრეთვე: **კაკ-კუკ! კაკ-კუკ!; –პაკ-პუკ! პაკ-პუკ! ; შლაპ-შლუპ, შლაპ-შლუპ; – ჩხაკ-ჩხუკ! ჩხაკ-ჩხუკ!; ბაკ-ბუკ! ბაკ-ბუკ! ; ტყაპ-ტყუპ, ტყაპ- ტყუპ.**

გვხვდება მხოლოდ თანხმოვნებით გადმოცემული ხმიანობაც: **ფოთლები– შრრ!.. შრრ!.. შრრ!:** (ვერხვის) ფოთლები ყოველთვის ბრწყინავენ, ყოველთვის კარგ ხასიათზე არიან და სულ ცეკვავენ, მღერიან – შრრ!.. შრრ!... შრრ!.. ქვეშ კი თითქმის ბნელა. აგრეთვე: **კრრ...კრრ...კრრ; –გრ-გრ- გრ!; ფრრ!... ფრრრ!**

რიგ შემთხვევაში სხვადასხვა წარმომავლობის ხმაბადვითი სიტყვები ერთსა და იმავე ფრაზაში გვხვდება: **კაკალი – ტყაპ!; –ხრრ!; –კაკლები... – ჭიტა! – იყურებიან დამსკდარი წენგოდან და იკრიჭებიან. ზოგი კაკალი ველარ მოითმენს, ისკუპებს და – ტყაპ! – ძირს, ბალახებში. მაშინ ავიღებ გრძელ ხალხას, ავალ ზედ და, რომ დავკრავ, – ხრრ! – წამოვლენ ჭივილ-ხივილით მიწისკენ. აგრეთვე: წერიმ, ჭუუ; ჭუუ! ჭუუ! ჭუუ! ; ტრა-ტატა-ტა! ჭუუ! ჭუუ! ჭუუ!; ჭიი,ჭიი, ვუფ! ვუფ! ტაპ! ტაპ! შუუ შუუ!**

2. ადამიანის მიერ გამოცემული ხმები: **ნააჰ! -ნააჰ!** ვიდაცა სანადიროდ გასულიყო და ნაჰ!-ნაჰ!-ნაჰ!-ს იძახდა. აგრეთვე: – ა-ა-ა-ა; – აა-უუ; – იიუ; – ოოო!;- ოუუუ!; -უუუ; ფუ-ფუ-ფუ; ტუ-ტუ-ტუ!; – ჰეჰეუ!

3. გვხვდება ჩვენი წყალ-ჭალისათვის დამახასიათებელი მწერების, ქვეწარმავლების, ცხოველების, შინაური ფრინველების ხმაბადვითი სიტყვები: **კრაზანა – ბზზ; ბაყაყი – ბრე-კე ანდა ყუა-ყუა; ხის ბაყაყი-ღააკ-ღააკ! მაჩვი – ჰიყ; მელას ლეკვი-ბაა! ბაა!; ციყვი – ტკრც; ბოჩოლა-ემუუ...**

ავტორისეულ წინადადებაში რიგ შემთხვევაში მწერალი მიმართავს ხმაბადვით სიტყვებს შედარებისა და გაპიროვნების გამოსახატავადაც: **მიაუ:** ბიჭმა) ბოხვერა კატასავით დაიჩხავლა: მიაუ!..გოგონამ ვერ გაიგონა.

დაგ-დუგ! დაგ-დუგ!: (მელია)გულის ასაჩქარებელი თითქოს არაფერია, მაგრამ მაინც ასე მოსდის, მიდის და გული –დაგ-დუგ! დაგ-დუგ!

დასტურდება ხმაბაძვითი სიტყვები სხვათა სიტყვის ნაწილ-კითაც: **უხსენებელი – ჰიყო**: გამოიტანეს კოლამ და ბეკემ ერთმა – ბა-რი, მეორემ ნიჩაფი, ის უხსენებელი, რომ დაარტყამენ, ერთი – ჰიყო! – ამოიძახებს და როგორც რეზინმა აახტუნოს, ისე ახტუნებს ბარსა და ნიჩაფს.

ღორი-ღუკ: ის ნაკერატალი დგას, პირს იქაფებს, როგორღაც უგუნებოდ იხედება აქეთ-იქით... რომ გადავუპირდაპირდი, ერთი – ღუკო! – იმ ნაკერატალმა, მიბრუნდა და, რომ გაჰკრა, ამ ბლუკს ეიქ გადაუვარდა ქუდი, აი, ქუდიცა, ჯოხიცა.

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

ბრძნობა სიტყვასთან დაკავშირებულ ლექსემათა სემანტიკისათვის

ბრძნობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედ-ვით არის: „ბრძენად ყოფნა, ბრძენის თვისება; ბრძნული ქცევა, – სიბრძნე. ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად, ნურც გაიკვირვებ ბრძნობას! (აკაკი)... ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობა-სა?! (რუსთაველი) (ქეგლა I, 2007). აქვე დავიმოწმებთ რუსთაველის ცნობილ აფორიზმსაც: არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს, ფილოსოფოს-თა ბრძნობისა! (რუსთაველი).

ქეგლში ასევე დასტურდება შეუკუმშველი **ბრძენობა** ფორმაც: „**ბრძენობა** იგივეა, რაც სიბრძნე...“ (ქეგლ I, 2007).

განმარტებიდანვე ჩანს, რომ **ბრძნობა** სიტყვა **ბრძენს** უკავშირ-დება.

სულხან-საბას განმარტებით **ბრძენი** არის: „დიდად ჰკვიანი“ [ნ. ებრძენა, ისიბრძნა, მბრძნობელი, სიბრძნე, უბრძნე]. **ებრძენა** ბრძნად ეჩვენა... **ისიბრძნა** სიბრძნე იხმარა... **სიბრძნე** (+ სიბრძნე არს მშობელი ჰკულისა და გამსჯელი მოგონებათა Cb) CDE... გრიგოლ ღვთისმეტყველი იტყვის: ემსგავსებიანო სიბრძნე და სივერაგე(ო):

სიბრძნე – კეთილ, სივერაგე – არა...“ (სულხან-საბა). მიუხედავად იმისა, რომ საბას ლექსიკონში **ბრძნობა** არ არის განმარტებული, სულხან-საბა ამ სიტყვას იყენებს **მზრძნობელის** განმარტებისას: „**მზრძნობელი ბრძნობის** მოქმედი...”

ბრძნობას უკავშირდება აგრეთვე შემდეგი სიტყვები (ვიმოწმებთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მაგალითებს): **ბრძენ-ი** [ღრმა ჭკუის, დიდი ცოდნის და გამოცდილების, დაკვირვებისა და გაგების უნარის მქონე ადამიანი. ბრძენისა „მე მგონია“ უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე ბრიყვისა „მე გარწმუნებთ“ (ხალხ.). სხვა სხვის ომში ბრძენიაო (ანდაზა). „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, ბრძენთაგან ასე თქმულა (ილია). ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისა (აკაკი). კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა (რუსთაველი). // ძვ. მოაზროვნე, სწავლული. შემოკრბნენ კაცნი ბრძენნი და მეცნიერნი (ვაჟა). ♦ **სოლომონ ბრძენი** უმაგალითო სიბრძნის ადამიანი (სიბრძნის განსახიერება) [ბიბლიური პიროვნების, სოლომონ მეფის მიხედვით]...“ (ქეგლა I, 2007).

აღსანიშნავია, რომ სიტყვა **ბრძენი** არ იკუმშება, თუმცა მისგან ნაწარმოებ ლექსემაში გვხვდება როგორც შეკუმშული, ისე – შეუკუმშველი ფორმებიც: **ბრძნობს** [ბრძენის თვისებას იჩენს; ბრძენით იქცევა...]; **ბრძნული** [ბრძენის დამახასიათებელი, ბრძენის შესაფერი...]; **ბრძნობილი** [იგივეა, რაც ბ რ ძ ნ უ ლ ი...]; **გაბრძნილი** [იგივეა, რაც მართებული გა ბ რ ძ ნ ო ბ ი ლ ი...]; **გაბრძნობილი** [გამოცდილი, გამოწრთვნილი, განსწავლული...]; **განბრძნობა** [სიბრძნის, დიდი ცოდნისა და გამოცდილების შეძენა...]; **დაბრძნობა** [იგივეა, რაც და ბ რ ძ ე ნ ე ბ ა...]; **დაბრძნილ-ი** [1. კუთხ. (იმერ.) რაც დაიბრძნეს, – დაცდილი. 2. იგივეა, რაც გა ბ რ ძ ნ ო ბ ი ლ ი, და ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ი...]; **დაბრძნობილი** [იგივეა, რაც და ბ რ ძ ნ ი ლ ი (მნიშვ. 2), – დაბრძენებული...]; **ბრძენდება** [სიბრძნეს იძენს...]; **ბრძენთაბრძენ-ი** [უდიდესი ბრძენი, უმაგალითო სიბრძნის ადამიანი...]; **ბრძენთაბრძენობა** [უდიდესი სიბრძნე, უმაგალითო სიბრძნე...]; **ბრძენობს** [ბრძენობას სწევს, ბრძენით იქცევა...]; **ბრძენობა** [იგივეა, რაც ს ი ბ რ ძ ნ ე...]; **ბრძენკაცი...** **გაბრძენდება** [ბრძენი გახდება...]; **გაბრძენება** [სახელი გაბრძენდება ზმნის მოქმედებისა...]; **გაბრძენებული** [ვინც გაბრძენდა...]; **დაბრძენდება** [ბრძენი გახდება, – დაჭკვი-

ანდება, დადინჯდება...]; **დაბრძენება** [დაჭკვიანება, დადინჯება...]; **დაბრძენებული** [ვინც დაბრძენდა, – დაჭკვიანებული, ჭკუდამჯდარი, დადინჯებული...]; **დაიბრძენებ**-ს [ბრძნად იქცევს, ბრძნად წარმოაჩენს თავისას...]; **ისიბრძნებ**-ს [სიბრძნეს გამოიჩენს, ბრძნულად მოიქცევა. სულ სიცოფედ შემირაცხე, რაც ვისიბრძნე მე **სა-ბრძნელი** (დ. გურამ.) (სულხან-საბასთან გვაქვს **ისიბრძნი**-ს: „**ისიბრძნა** სიბრძნე იხმარა (საბა). [ნ. ბრძენი, სიბრძნე.]); **საბრძნე** [იგივეა, რაც **ს ა ბ რ ძ ნ ო**...]; **საბრძნო** [ბრძენის შესაფერი, სიბრძნე მომნიჭებული, გამომხატველი, – სიბრძნისა...]; **სიბრძნე** [ბრძენის თვისება, – ღრმა ჭკუის, აზროვნების, დიდი ცოდნისა და გამოცდილების ქონა; ბრძნული ქცევა, ბრძნობა...]; **სიბრძნისმეტყველება** [იგივეა, რაც **ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა**...]; **სიბრძნისმეტყველი** [ფილოსოფოსი...] და ა. შ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ყველა მათგანი „სიბრძნის“ შინაარსის შემცველია. თუმცა ამ სიტყვებს, არცთუ იშვიათად, ირონიითაც იყენებენ და ისინი სრულიად საპირისპირო, ანტონიმურ მნიშვნელობას იძენენ („სისულე, სიბრიყვე, სირეგვენე...“), მაგ.: **უბრძქვნეს**-ი [უდიდესი სიბრძნის მქონე, ყველაზე მეტად ბრძენი. // ირონ. ამ ბრძენთა უბრძენესმა ორატორმა ასე ადვილად აღმოაჩინა... ამერიკა (ილია); **ბრძენთაბრძენ**-ი: „იგია [= ოჯახი] თურმე მიზეზი ქვეყნის უბედურებისა, იგი რაღაც ეშმაკისა და ქაჯის თესლი თურმეა. მე რომ ყოველივე მისი ბოროტი გითხრა, არ დამიჯერებ. ისევ სჯობია ჩვენს **ბრძენთაბრძენს** გომართელს ვათქმევინოთ (ილია)... და სხვ.

აგრეთვე, დიალექტებში **ბრძნობა** ზმნასთან დაკავშირებული სიტყვები განსხვავებული მნიშვნელობით, კერძოდ, „დაცდა“, „ტაბუს“ მნიშვნელობით გვხვდება:

ბრძნა ეთნ. კუთხ. (გურ.) „ცრუმორწმუნოებაზე დამყარებული შიშის გამო რაიმე საქმის არქმნა ან სიტყვის ართქმა“ (გ. შარაშ.). ტაბუ (შდრ. იბრძნის)... **იბრძნი**-ს გრდმ. სუბ. ქც. იგივეა, რაც **და ი ბ რ ძ ნ ი ს**... **დაიბრძნი**-ს კუთხ. (იმერ.) (პირადი გამოცდილების საფუძველზე) ამა თუ იმ მოვლენას მიიჩნევს ვითომდა კეთილის ან ავის მომასწავებლად, დაცდის... **დაბრძნილ**-ი 1. კუთხ. (იმერ.) რაც დაიბრძნეს, – დაცდილი. 2. იგივეა, რაც **გ ა ბ რ ძ ნ ო ბ ი ლ ი**, **და ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ი**... [– აქ ორივე მნიშვნელობაა დადასტურებული];

დაბრძნა კუთხ. (იმერ.) (პირადი გამოცდილების საფუძველზე) ამა თუ იმ მოვლენას მიჩნევა ვითომდა კეთილის ან ავის მომასწავებლად, დაცდა (შდრ.: დ ა მ ზ ნ ა). **დამზნა** 1. კუთხ. (იმერ.) დაცდა, დაბრძნა. 2. კუთხ. (რაჭ.) „უბედურებისა ან სხვა რისამე დაჩვევა, დაკვებება“ (ვ. ბერ.)... (ქეგლ); **ზძნა** კუთხ. (გურ.) აკრძალული, ტაბუირებული რამ, ცრურწმენით რაიმე საქმის ან სიტყვის თქმის აკრძალვა, თავილობა, ტაბუ. დედამთილი რძალს ორშაბათობით, მაგალითად, მეზობლისას წასვლის ნებას არ მისცემდა; იმავე ორშაბათობით არ გასცემდნენ ფქვილს, ცეცხლს, მარილს და ა. შ... ამაზე იტყოდნენ, **იბძნისო** (ა. ლ.).

2019 წელს ბათუმში გამოცემულ „ქართველი ხალხის ეთნოლოგიურ ლექსიკონში“, რომელშიც თავმოყრილია აჭარული მეტყველების ნიმუშები, ვკითხულობთ: „**ბრძნობა** ეთნ. კუთხ. (აჭარ.) **ტაბუ**, **საბრძნელი**, ტაბუირებული რამ, რისი დარღვევის შემთხვევაშიც ოჯახსა და მეურნეობას დიდი საფრთხე ელოდა. ამიტომაც მისი დარღვევა აკრძალული იყო...“ (ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი აჭარა, ბათუმი 2019; რედ. რ. მეტრეველი); – ე. ი. **ბრძნობა**, **საბრძნელი** და **ტაბუ** სინონიმებად მოიაზრება.

რაც შეეხება სიტყვა **საბრძნელს**, მისი განმარტება ჩვენ მიერ დამოწმებულ ლექსიკონებში არ გვხვდება. მაგრამ თუ გავიხსენებთ დავით გურამიშვილის ზემომოყვანილ ილუსტრაციას: „ღმერთო ჩემო, ეს რა მიყავ? მომივლინე საქმე ძნელი, სულ სიცოფედ შემირაცხე, რაც **ვისიბრძნე** მე **საბრძნელი** (დ. გურამ.)“, – რა თქმა უნდა, აქ **საბრძნელი** **სიბრძნის** მნიშვნელობითაა ნახმარი.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, სიტყვა **ბრძნობა** და მასთან დაკავშირებული ლექსემები შემდეგი მნიშვნელობების შემცველია: სიბრძნე (ირონ. სისულელე), განსწავლულობა, გამოცდილება, დაცდა, ტაბუ... გზა **ბრძნობიდან** (**სიბრძნიდან**) **ტაბუმდე** ნათელია: **ბრძნობა** = **სიბრძნე** > **განსწავლულობა**, **გამოცდილება** => **დაცდა** > **ბრძნა** > **ტაბუ**.

**აფხაზური სამწიგნობრო ენის ისტორიიდან.
დიმიტრი გულიას „ლიტერატურისა და
ენათმეცნიერების ტერმინოლოგია“**

მოხსენება ნაწილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დამტკიცებული პროექტისა (FR-23 -15212).

1930 წელს ნ. მარის ინიციატივით სოხუმში დაარსებულმა აფხაზური ენისა და კულტურის აკადემიამ გამოსცა **დიმიტრი გულიას** ნაშრომი „**ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია (რუსულ-აფხაზური და აფხაზურ-რუსული)**“. ნაშრომი მოიცავს მცირე ფორმატის 184 გვერდს. აქედან მე-9-დან 91-ე გვერდის ჩათვლით ეთმობა რუსულ-აფხაზურ ნაწილს, ხოლო 93-ე გვერდიდან ბოლომდე განთავსებულია აფხაზურ-რუსული ნაწილი.

1929 წლის 15 ივნისს დაწერილ მოკლე წინასიტყვაობაში (გვ. 3-5) დ. გულია აცხადებდა, რომ ლექსიკონის შედგენაზე იმუშავა თითქმის 3 წლის განმავლობაში, ანუ სავარაუდოა, რომ ლექსიკონის შედგენა უნდა დაწყებულიყო 1926 წლის შემოდგომიდან მაინც. დ. გულიას ცნობით, ამ ნაშრომში შეტანილ სიტყვათა ჯგუფი მანამდეც არსებობდა აფხაზურ ენაზე, მათ ნაწილს დაკარგვის საფრთხეც ემუქრებოდა, ლექსიკონის სიტყვათა მეორე, უფრო დიდი ნაწილი უცხო წარმომავლობისაა და მათი აფხაზურად თარგმნა არ მოხერხდა (გვ. 3).

ლექსიკონში შეტანილი ტერმინები ნაწილ-ნაწილ განუხილავთ აფხაზური ენისა და ლიტერატურის აკადემიის სხდომებზე, რის შემდგომაც ქვეყნდებოდა გაზეთ „აფსნი ყაფმის“ ფურცლებზე. ლექსიკონის აგების წესები და გამოცემის საკითხი საგანგებოდ განხილულა აკადემიის მიერ შექმნილი კომისიის სხდომაზე 1929 წლის 21 მაისს (გვ. 3). მოსალოდნელია, ლექსიკონში შეტანილი სიტყვების ნაწილი მცდარი აღმოჩნდეს, ან არ დაინერგოს, ანდა ჩანაცვლდეს სხვა ტერმინებით, მაგრამ ნაკლის გამოსწორება ბუნებრივიაო, დასძენდა დ. გულია (გვ. 4-5).

ლექსიკონში აფხაზური სიტყვები ჩაწერილია პროფ. **ნიკოლაი იაკოვლევის**, პროფ. **ევგენი პოლივანოვის**, მწერალ **სამსონ ჭანბასა** და მწერალ **მუშნი ჰაშას** მიერ შედგენილი და 1928 წელს ამოქმედებული უნიფიცირებული ლათინიზებული დამწერლობით, თუმცა რაკი ლექსიკონის შედგენა 1926 წელს დაწყებულა, თავიდან აფხაზური სიტყვები ალბათ ჩაწერილი იქნებოდა ნ. მარის ანალიზური ანბანით, ხოლო 1928 წლიდან ტექსტი უნდა გადაყვანილიყო ნ. იაკოვლევის ჯგუფის დამწერლობაზე.

მართალია, საანალიზო წიგნაკს ტერმინოლოგიური ლექსიკონის ფუნქცია ეკისრებოდა, მაგრამ რეალურად მასში შეტანილი მრავალი სიტყვა ვერ ჩაითვლება სამეცნიერო ტერმინებად, ისინი საყოველთაო-სახალხო მეტყველების ჩვეულებრივი სიტყვებია და აღნიშნავენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა: **ვაშლი, მიწა, ხე, ტყე** და ა.შ. გარდა ამისა, სიტყვების დიდი ჯგუფი არც ენათმეცნიერებას უკავშირდება და არც ლიტერატურას. მაგალითად, ამ ტიპის „ზედმეტ“ ლექსიკას განეკუთვნება შემდეგი სემანტიკის მქონე სიტყვები: **გარგარი, აბსურდი, ავანგარდი, ავანსი, ავიატორი, ავიაცია, იქნებ, ავტოგარაჟი, ავტომატი, ავტომობილი, ავტონომია, ავტორიტეტი, სააგენტო, აგიტატორი, აგრონომი, ადვოკატი, ადმინისტრაცია, აზარტული თამაში, აკორდი, აკუმულატორი, აქტივი, აქციზი, აქცია, ალგებრა, მეწამული, ალუმინი, ამბულატორია, ამნისტია, ამპერი, ანარქია, ანექსია, ანტენა, აპარატი, აფთიაქი, არითმეტიკა, ლაზო, არტელი, არტილერია, არქიტექტურა, ასიგნაცია, ასტრონომია, ათეიზმი, ატმოსფერო, აუდიტორია, აფერისტი, აეროდრომი, აეროპლანი** და მრავალი სხვა (გვ. 10-12).

ჩვენი ვარაუდით, ავტორმაც კარგად იცოდა, რომ ამგვარი ლექსიკა მისი ლექსიკონისათვის შეუფერებელი იყო, მაგრამ ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ იმ დროს არ არსებობდა მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილი რუსულ-აფხაზური და აფხაზურ-რუსული ლექსიკონები. ვფიქრობთ, ამ ხარვეზის შესავსებად შეიტანა დ. გულიამ ფილოლოგიური მიმართულების ტერმინოლოგიური ლექსიკონისათვის შეუფერებელი ლექსიკა.

რაც შეეხება ლექსიკონში შეტანილი ინტერნაციონალური და რუსული ლექსიკის მიმართებას აფხაზური ენის სესხების ფონეტიკურ წესებთან, აქ საქმე ბევრად უფრო მძიმედ იყო: **იმ პერიოდში კომუნისტური ენობრივი პოლიტიკა გულისხმობდა არარუსულ ენებ-**

ში რუსულის გზით შესული ლექსიკის სავალდებულოდ წერას არა მსესხებელი ენის ფონოტაქტიკის წესების დაცვით, არამედ რუსული ენის ფონემატურ სტრუქტურასთან მაქსიმალურად დაახლოებით, ანუ სიტყვა იწერებოდა ლათინური ასოებით, ოღონდ რუსული ფონეტიკური ნორმების მიხედვით (თ. გვანცელაძე). ამის გამო დ. გულიას საანალიზო ლექსიკონში ამ ტიპის ლექსიკა ჩაწერილია რუსულ ორთოგრაფიულ ნორმებთან მიახლოებული ფორმით, თუმცა აფხაზურში ასი წლის წინ ჯერ კიდევ აქტიურად მოქმედებდა ნასესხები ლექსიკის ფონოლოგიური ადაპტაციის წესები, მაგრამ ისინი წიგნში არ არის გამოყენებული.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

მცენარეთა სახელები ძველი ქართული ენის ლექსიკონებში და მათი დაზუსტების აუცილებლობა (მელაღრია/მელაგრია)

ძველი ქართული ენის ლექსიკონებში არაერთი მცენარის სახელია დადასტურებული, თუმცა მათი განმარტებისას შეინიშნება არა მხოლოდ რიგი უზუსტობანი, არამედ ერთგვარი ბუნდოვანებაც. „მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონის“ შედგენისას ამგვარი სახელების იდენტიფიკაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვინაიდან უშუალოდ მცენარის სახეობის ან გვარის დაზუსტება აუცილებელია შესატყვისი ლათინური ნომენკლატურული სახელის მისათითებლად. ეს ამოცანა მოითხოვს არა მხოლოდ ლინგვისტურ და ლექსიკოგრაფიულ ანალიზს, არამედ გარეენობრივი მონაცემების გათვალისწინებასაც.

ამ თვასაზრისით საინტერესო ნიმუშია სახელი **მელაღრია/მელაგრია**, რომელიც ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ასეა განმარტებული: „**მელაღრია** „თაფლი ველისაჲ“ (აბულაძე 1973); „**მელაღრია-ღ** – ერთგვარი მცენარე; ველის თაფლი“ (სარჯველაძე 2001); „გარეული ფუტკრის თაფლი“ (სარჯველაძე 2004); „**Melaghria** (eine Pflanze); wilder Honig („ერთგვარი მცენარე; ველური თაფლი“ – ნ. ხ.)“ (სარჯველაძე, ფენრიხი 2005).

განმარტებებიდან ჩანს, რომ ტერმინი აღნიშნავს როგორც მცენარეს, ასევე ველურ თაფლს, რაც მეტყველებს მის სემანტიკურ სირთულეზე და, ამასთან, ბუნდოვანებაზე.

როგორც ვარაუდობენ, ლექსიკური ფორმა **მელადრია/მელაგრია** ბერძნულიდანაა ნასესხები ქართულში. ეს არის ორი ბერძნული სიტყვის შერწყმის შედეგად მიღებული გამჭვირვალე სემანტიკის მქონე სახელი: **მელი** + **აგრიო/მელი ἄγριον**, სადაც „**მელი**, – **ιτις**, τὸ – თაფლი“; „**ἄγριος**, -α, -ον – ველური“; „**ἄγριος** – მინდორი“ (გიორგობიანი 2013).

ძველ ქართულ ხელნაწერებში – თარგმანებსა და ორიგინალურ ტექსტებში – **მელადრია//მელაგრია** დადასტურებულია შემდეგი აღწერილობით: „თაფლი ველური“, „თაფლი ველისაი“, „წყაროდ მცენარისაგან მისგან წყლისა“, „ველურისა თაფლისა ძირი“...

როგორც მითითებულია, „ტერმინ **ველური//ველის თაფლის** შესახებ აზრთა სხვადასხვაობა (//დისკუსია) დაწყებულია ადრეული საუკუნეებიდან და დღემდე გრძელდება“ (ბარნაველი 2012). არსებობს არაერთი ავტორისა და მკვლევრის ვარაუდი, რომელთა მიხედვით, **მელადრია//მელაგრია, ველური თაფლი, ველის თაფლი** შეიძლება იყოს: **1.** ერთგვარი მცენარე (ასფოდელი, ცხენისფაფარა, ერიკა, იალღუნი და სხვ.); **2.** ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი სითხე (შდრ.: „**თაფლი ველური** ესე არს ხე, რომელსა ლათინურად ჰ(რ)ეკიან ე რ ი კ ა, ურთხლს(ა) ჰგავს. მისის ხელისა და ხისაგან თაფლივით ჩამოეწვეთების, ვიეთნი მ ა ნ ა ნ ა დ (აგ) (მანანასაგ Z) უკმობენ (სახელ–სდებენ ZA). იგი არს თაფლი ველური ZAB.“ – საბა 1991); **3.** ზოგიერთი ველური მცენარის ნაყოფი; **4.** ველური ფუტკრის თაფლი.

ჩვენი დაკვირვებით, **მელადრია/მელაგრია (//თაფლი ველისაი, თაფლი ველური)** არის **ზოგადი სახელი** იმ ტკბილი ნივთიერებებისა, რომლებიც ბუნებაში მიიღება და ადამიანთა მიერ ოდითგან მოიპოვებოდა სხვადასხვა გზით, ამიტომ ის შეიძლება გულისხმობდეს:

1. ზოგიერთ **მცენარეს** ან მის ნაყოფს;
2. **ტკბილ ნივთიერებებს**, რომლებიც ბუნებრივად წარმოიქმნება მცენარის ფოთლებიდან, ქერქიდან ან სხვა ნაწილებიდან (ტერმ. „მანანა“);
3. მცენარულ მანანაზე მომუშავე **მწერების მიერ გამოყოფილ ექსკრემენტს**, რომელიც ტკბილია

4. მცენარის ძირში **ტკბილი სითხის ნაწვეთს** ან ზოგიერთი მცენარის ფესვთან მწერების მიერ **დაგროვებულ ტკბილ ნივთიერებას**;

5. ტყის ფუტკრის თაფლს, რომელიც მეფუტკრეობის დასაწყისამდეც არსებობდა, როგორც ბუნებრივი ტკბილი საკვები.

ამგვარად, პოლისემიური სახელი **მელაღრია/მელაგრია**, სავარაუდოდ, აღნიშნავდა მცენარის არა კონკრეტულ ბოტანიკურ სახეობას, არამედ ბუნებრივად მიღებულ **ტკბილ პროდუქტთა ერთობლიობას** – სხვადასხვა მცენარისგან ან მწერისგან მიღებულ თაფლისებრ ნივთიერებებს. იმის გამო, რომ ვერ ხერხდება **მაღალრია//მაღაგრია** სახელით აღნიშნული მცენარის დაკონკრეტება, „მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“ ის ვერ დადასტურდება საკუთარი ლათინური ნომენკლატურული დასახელებით.

ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა

ართმაჟია

მეგრული **ართმაჟია** საურთიერთო (ურთიერთობითი) ნაცვალსახელია, ქართული „ერთმანეთის, ურთიერთის, ერთურთის“ სემანტიკური შესატყვისი.

ართმაჟია-ს პარალელური ფორმაა (ფონეტიკური ვარიანტი) **ართმაჟირა**, ხოლო სინონიმი – **ართიანი**.

აგებულიებით მეგრული **ართმაჟია** კომპოზიტია, ორი რიცხვითი სახელის – რაოდენობითისა (**ართი „ერთი“**) და რიგობითის (**მაჟია//მაჟირა „მეორე“**) – შეერთებით მიღებული.

ართმაჟია -ს ნაკლული ბრუნება აქვს – არ მოეპოვება **მოთხრობით** და **ვითარებით** ბრუნვათა ფორმები.

ქართულის მსგავსად, ამ ნაცვალსახელს მეგრულში მრავლობითი რიცხვი არა აქვს, ზმნასთან კი რიცხვში შინაარსობრივი შეთანხმებაა (**ართმაჟიას ვენდებუნა** „ერთმანეთს არ ენდობიან“).

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**